# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

ორშაბათი, 20 ნოემბერი. 2023 წ. №129 (9661) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ხალხის გაცდენა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

თავი გაბეჩე - სამართლიანი ოპოზიციავ!

# წინ ახალი ბაზალეთია!



ნადი და ამტკიცე, აქლემი რომ არა ხარ! ვიღაც მარჯვეს მიერ მარჯვედ შემოგდებული ეს ხელისუფლების მოცილება-გაცილება უკვე ყველა ჯურის ანი წითლიძეს და მიშა მშვილდაძეს აკერია აცყია პირზე; ნიშანსვეტია, კაცმა არ იცის, ვის მიერ გამოშანდაკებული ხალხის უმთავრეს სამიზნედ. ოღონდ, ჩვენი სულსწრაფი და ენასწრაფი ოპოლიდერების მიერ უკვე ხალხისთვის თვალზე აფარებული. ზევით უკვე ვთქვით ოპოზიციის დამოკიდებულებაზე სტატუსის მიმართ. თავის „ცდაზე“ თითონ მიითვისოს ამ გამარჯვების ავტორობა (?!) და ამ ცდაში ჩვენი, ისედაც სასაცილო ოპოზიცია სულ სახითხითო ხდება. ③

## ეგრისობა - 2023



საბა ოდიშარია, გიორგი ხახუბია, საპატიო სენაკელი ლაშა ტალახაძე, ვახტანგ გადელია

## სენაკელთა სიტყვა და საქმე

იხ. 6-7 გვ.

## ტყუილია! რაჭაში ტყე ⑤ არ გაყიდულა!

ვაჟა ბერიძე:

## ჩვენში საზოგადოებრივი აზრის კვლევა მკვდარია! ④

## SOS! — შვილი დედის თვალწინ დაჭრეს!



კოსტა სანიკიძე საკუთარ სახლში გამთენიისას დედის თვალწინ დაჭრეს. მისი მეგობრები აცხადებენ, რომ კოსტა მუცლის არეშია დაჭრილი და მისი მდგომარეობა საკმაოდ მძიმეა. შემთხვევამდე ცოტა ხნით ადრე კოსტა სანიკიძე აცხადებდა, რომ  უცხო ადამიანს მისი მოკვლა უნდოდა. მეზობლების განცხადებით კოსტას ეძებდნენ მოსაკლავად. „დილის 6 საათზე, შედის ვიღაც გვერდით ეზოში, ანუ გინა ეშლება, კითხულობს, სად არის კოსტა სანიკიძე, უნდა „დავგრიდოო“, თავს ესხმის მეზოგელს, მაგრამ მეზოგელი ართმევს დანას და ის ადამიანი გარბის“... ფაქტზე დაწყებულია გამოძიება.

მიწიერი და ზეციური

## დაუნდობელი წუთისოფლის სიბრძნე

⑨



იგორ ქობალია, ციალა სოსელია

## ქართული „ნიურნბერგი“ -ტომისა და ჯერის თამაში



③ ნაციონალების გარდა სხვა ალტერნატივა მართლა არ არსებობს?!

**აგერ, თითქმის ორი კვირაა, რაც ევროკომისიამ, როგორც იქნა, ევროკავშირის წევრობის კანდიდატობაზე დასტური მოგვცა. მაგრამ სასიხარულო მოვლენას საყოველთაო „ჯოს-ჯოს“ ყიჟინა არ მოჰყოლია.**

**ჩვენმა ორთოდოქსმა ოპოზიციონერმა პოლიტიკოსებმა ტუჩები აიგზუეს და რადიკალურად მკვეთრი სიძულვილი გამოხატეს ხელისუფლებისა და „ქართული ოცნების“ მონაწილეობით სტატუსის მიღების გამო, ვიდრე მიღებამდე გამოხატავდნენ, როცა მათი ოპონენტები საქმიანად ირჯებოდნენ 12 პუნქტის დასაგემოვნებლად, თვითონ კი მხოლოდ გრძელ ენებს იქნევდნენ მყრალად და უმაქნისად.**

კარგად გვახსოვს: იყო თავგანწირული ცდები (ყოველ შემთხვევაში, ამის სურვილი დიდი გახლდათ) სტატუსის მინიჭების ერთი წლით გადავადებისა, რათა 2024-ში საარჩევნო წელს პარალელური ცეცხლი შეენთოთ ამომრჩევლებისთვის. პროცესი ვერ შეაჩერეს, მაგრამ დაიტოვეს მუხტი სტატუსის მომყოლი ცხრა დათქმის სახით, რომელშიც თურმე წერია(?) არჩევნებამდე ან ბოლოსდაბოლოს არჩევნების შედეგად უცილებლად უნდა მოიცილოთ ეს რუსული ხელისუფლება და კოალიციური მთავრობა შექმნათო.

**წადი და ამტკიცე, აქლემი რომ არა ხარ! ვიღაც მარჯვეს მიერ მარჯვედ შემოგდებული ეს ხელისუფლების მოცილება-გაცილება უკვე ყველა ჯურის ანი წითლიძეს და მიშა მშვილდაძეს აკერია ავყია პირზე; ნიშანსვეტია, კაცმა არ იცის, ვის მიერ გამოშანდაკებული ხალხის უმთავრეს სამიზნედ, ოღონდ, ჩვენი სულსწრაფი და ენასწრაფი ოპოლიდერების მიერ უკვე ხალხისთვის თვალზე აფარებული. ზევით უკვე ვთქვით ოპოზიციის დამოკიდებულებაზე სტატუსის მიმართ, მის „ცდაზე“ თვითონ მიითვისოს ამ გამარ-**



ცხვრის ფარა, რომელსაც ლომი წინამძღოლობს, ყოველთვის დაამარცხებს ლომთა გუნდს, რომელსაც ცხვარი მეთაურობს.

ნაპოლეონ ბონაპარტე

# წინ ახალი ბაზალეთია!

## თავი ბაწარში – სამარცხვინო ოპოზიციავ!









**ჯვების ავტორობა (?!) და ამ ცდაში ჩვენი, ისედაც სასაცილო ოპოზიცია სულ სახითხითო ხდება. აგა, მოუსმინეთ:**

**გადრი ჯაფარიძე:** ვუსამძიმრებ „ქართულ ოცნებას“, რომ თავისი დიდი საბოტაჟის, ყველაფრის მიუხედავად, ქვეყანამ მაინც მიიღო რეკომენდაცია;

**ლევან ხაბეიშვილი:** ქართველმა ხალხმა პირველი რაუნდი მოუგო რუსულ ხელისუფლებას (განცხადების დროს ამ ჭეშმარიტების დასტურად ხაზეს გვერდში ედგნენ პირდაპირ საანეგდოტო ბოკუჩავა, ჭიაბერაშვილი და წითლიძე, ენმ-ის ტვინნი და ღირსებანი);

**გიგა ბოკერია:** ხელისუფლების შეცვლის გარეშე ეს გადაწყვეტილება არაფერს ცვლის;

**სალომე სამადაშვილი:** გილოცავთ! წინ დიდი ბრძოლებია, ხელისუფლება უნდა შევცვალოთ. (როგორც შენ იტყვი, ქაბატოჯან!)

**ეკა ბიგაური** (ენჯეო, პოლიციის კაპიტანი): ახლა მთავარია, მთავრობამ არ დაუშვას შეცდომები და წყალში არ ჩაგვიყაროს მოპოვებული (ნუ, თურმე, პირადად მისი და მისდაგვართა მიერ მოპოვებული!);

**პაატა მანჯგალაძე:** ხელისუფლება დივერსიებს აწყობდა, რათა საქართველოს სტატუსი არ მიეღო, მაგრამ ევროპამ არ გაგვწირა...

* * *

**7 ნოემბერს, სტატუსის მოცემის შესახებ ევროკომისიის მიერ თანხმობის გაცემის წინა დღეს, როცა ბრიუსელიდან მყარად გამოჟონა ხმებმა ამ ამბის უტყუარობის შესახებ, ნაიმპიჩმენტარმა პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა უმალ მოტვინა მომენტის უნიკალურობა და ხალხს უხმო ორბელიანის მოედანზე, თავის სასახლესთან.**

იქ მისულთ განუმარტა, ევროკავშირში საქართველოს გაწევრებისთვის დღეს თქვენით ვიწყებთ სრულიად რესპუბლიკურ ხელმოწერებსო! თან გაამხილა, ხვალ პარიზში მივემგზავრები მშვიდობის ფორუმზე დასასწრებად შარლ მიშელთან ერთადო. იქვე ყბამოქცეული ღიმილით დასძინა: ფორუმს პრემიერ-მინისტრიც დაესწრება და, ამრიგად, ჩვენ დეპოლარიზაციის პირველ მაგალითს მივცემთ ქვეყანასო. ის დღე იყო და ის დღე: პარიზში „ზაიჩიკად“ ჩასულმა ქალბატონმა სალომემ თავი ფაქტობრივად პირველ პირად და სტატუსის მოპოვების მედროშედ გამოაცხადა.

**როცა ფრანგმა ჟურნალისტმა ჰკითხა, პრორუსად მიჩნეულმა თქვენმა პრემიერ-მინისტრმა თქვა, რომ ახალი სტატუსი ისტორიული გამარჯვებაა, გაგაკვირვათ ამანო? უპასუხა, გამახარა, რადგან ევროკომისიის გადაწყვეტილება გარკვეულწილად აიძულებს საქართველოს ყველა პოლიტიკურ ძალას (უთუოდ გულისხმობს ხელისუფლებას-ა.ა.) ერთ ევროპულ სიხშირეზე იყვნენ, ვნახოთ, ვნახოთო. თან იმედი გამოთქვა, თუ დემოკრატიული არჩევნები გვექნება, ეს საშუალებას მოგვცემს, შევქმნათ ახალი კოალიცია. მთავარია მოსახლეობამ იგრძნო, ჩვენ ამ გზაზე მარტონი არ ვართო.**

ნეტავ ვისი იმედი გაუჩნდა დაქსაქსულ, ღრიანცელით გადაღლილ მოსახლეობას? უთუოდ გაერთიანებული ოპოზიციისა – ერთპროცენტიანი, საბოლოოდ ჩაფლავებული, მარტოდ შთენილი გიგა ბოკერიადან მრავალათასიან, შინაურ ომში ჩართულ ლევან ხაბეიშვილამდე, სადაც გაცრეცილ ჯაჭვის პერანგებსა და ჟანგიან მუზარადებს შორის ავბედითად დააბიჯებს მწუხარე სახის მელოტი კაცი, „ვივამედის“ სიმაღლეებიდან კი სასოწარკვეთილი მუქარით იყურება დემენციასთან მორკინალი პატიმარი.

**იქნებ, ევროპის გულუხვი სუქინსინური დახმარებისა? არადა, თუ წინათგრძნობას ენდობი კაცი, ეს მეორე უფრო ნაღდი ჩანს.**

ეკითხებიან, არ გეშინიათ, რომ საქართველოს მთავრობა ხელს შეგიშლით რეფორმების ბოლომდე განხორციელებაშიო? პასუხი კონგენიალურია: ეს დამოკიდებული იქნება მოსახლეობაზე. ხალხის როლი ძალიან მნიშვნელოვანია, ამიტომ შევკრიბე გუშინ მოსახლეობა ხელმოწერების კამპანიის დასაწყებად, რამაც 15 დეკემბრამდე უნდა მიგვიყვანოს, რათა ევროკომისიისთვის გვეჩვენებინა, რომ მთელი ქვეყანა გულშემატკივრობს ამ გზასო...

ერთი სიტყვით, სალომე მაქსიმალურად სჩრის თვალებში ყველას თავის გამოგონებას – აღარავისთვის საჭირო ხელმოწერებს, ამ უკან მიდევნებულ ლამპარს.

**მთავარი ის არის, რომ ფრანგ კორესპონდენტს ჰგონია, ჩვენს ქვეყანაში პრეზიდენტი ზურაბიშვილია მთავარი რეფორმატორი და ეჭვი აქვს, რომ მას საქართველოს პრორუსული ხელისუფლება უშლის ხელს ამაში. ინტერვიუერი კი სულაც არ ცდილობს შეაცვლევინოს ეს მცდარი, საგანგებოდ შექმნილი და წამოწეული აზრი.**

**ცნობისათვის:** ინტერვიუ აიღო „France 24“-მა, სადაც წლების მანძილზე მუშაობდა ან ახლაც მუშაობს სალომე ზურაბიშვილის ქალიშვილი ქეთევან გორჯესტანი.

და, აი, ახლახან სალომემ გააკეთა ისიც, რასაც აქამდე საგულდაგულოდ ერიდებოდა: დაარტყა (და საკმაოდ მწარედაც) ბიძინა ივანიშვილს, თავის პროტეჟეს პრეზიდენტად არჩევისას. დღეს ქართულ პოლიტიკაში ივანიშვილის გარდა სხვა ოლიგარქი არ არისო, იგი იმათ რიგებშია, ვინც ვერ წარმოიდგენს რუსეთის დამარცხებას და ცდილობს მოერგოს მის გამარჯვებასო. მისი გავლენით ხელისუფლებაში მყოფი, ევროპაში განათლებამიღებული ახალგაზრდები იჩენენ სისუსტეს და მაამებლურ პოზიციას რუსეთის მიმართო.

**მმართველმა გუნდმა პრეზიდენტის ნათქვამს გაუაზრებელი უწოდა. ვითომ? იქნებ, სწორედაც კარგად გააზრებული იყო, რადგან ამით დასავლეთს გზას უხსნის ბიძინას დასასანქციორებლად?**









ეს კიდევ არაფერი, „შინაური“ საქმეა და როგორმე გადავიტანთ. მაგრამ იმას რა ვუყოთ, პარიზში მიცემულ ერთ-ერთ ინტერვიუში რუსეთისა და ჩინეთის ხელმძღვანელები პუტინი და სი ძინ პინი რომ ერთ სიბრტყეზე დააყენა და მოკლედ მოჭრა, მათი გასამართლება ისტორიული შედეგი იქნებოდა, რაც გარკვეულ საკითხებს თავის ადგილებს მიუჩენდა, ოღონდ, ეს რეალისტურად არ მეჩვენებაო.

ატყდა, მაგრამ რა ატყდა! მეორე დღესვე რედაქტირებული ტექსტი გამოქვეყნდა, რომელშიც სი ძინ პინი აღარ ფიგურირებდა. მაგრამ ერთი ცნობილი რუსული გამოთქმისა არ იყოს, კალმით დაწერილს ნაჯახით ვერ ამოჩეხავ. გაკვირვებულმა ჩინეთის მხარემ შეკითხვა დასვა, ქართულმა მხარემ სინანული გამოთქვა... ერთი სიტყვით, საქმემ კინაღამ დიპლომატიური სკანდალის სახე მიიღო. სწორედ ასე, „არადიპლომატიური“ უწოდა პრეზიდენტის ნათქვამს დიპლომატთა უმრავლესობამ.

**ჰოდა, მოდი და უკითხავად კიდევ სადმე გაუშვი ეს ქალბატონი (არადა გულზე ხელს იბრაგუნებს, სადაც მინდა და როცა მინდა, მაშინ წავალ, თქვენ არ შეგეკითხებითო)!**

**მაგრამ ეს ყველაფერი პრელუდიაა! ქალბატონ სალომეს გულშემატკივრები დაბეჯითებით აცხადებენ, რომ მალე ის სულაც ახალ მოძრაობას ჩაუდგება სათავეში. სტატუსი ჩვენგან მოითხოვს შევცვალოთ ხელისუფლება(?!), ჰოდა სალომეზე მძლე პოლიტიკოსს სად ვიპოვით?**

**ოჰო-ჰო-ჰო!!! ნეტარ არიან მორწმუნენი!**

* * *

**ერთ პარადოქსთანაც გვაქვს საქმე: სტატუსის მიღებით უდავოდ და უკანმოუხედავად თურმე გაიმარჯვა ოპოზიციამ (ყოველ შემთხვევაში, ის ასე აცხადებს!).**

იმასაც აცხადებს ყველა დონეზე აუცილებლად შევცვლით ხელისუფლებას არჩევნების შემდეგო. რის საფუძველზე იიმედებს თავს ფუჭი იმედებით, გაუგებარია. არადა, საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვები მათი შესაძლებლობების თაობაზე სულ სხვა სურათს იძლევა. ახლახან გამოკვლევები ჩაატარეს კვლევის საერთაშორისო ცენტრებმა „გორბიმ“ (ტელეკომპანია „იმედის“ დაკვეთით), „ედისონ რისერჩმა“ (ტელეკომპანია „ფორმულას“ დაკვეთით) და საერთაშორისო რესპუბლიკურმა ინსტიტუტმა “აირაიმ“. შედეგები ისეთია, ოპოზიცია ახლავე უნდა უყრიდეს ბაწარში თავს.

კითხვაზე, დღეს რომ საპარლამენტო არჩევნები ტარდებოდეს, რომელ პარტიას მისცემდი ხმას, რეიტინგი ასე განაწილდა: „გორბი“ – „ქართული ოცნება“ – 55%, ნაცმოძრაობა“ – „სტრატეგია აღმაშენებელი“ – 20%; „ედისონ რისერჩი“-“ქართული ოცნება“ – 37%, ნაცმოძრაობა – „სტრატეგია აღმაშენებელი“ – 21%; „აირაი“ – „ქართული ოცნება“ – 25%, ნაცმოძრაობა/მიხეილ სააკაშვილი-13%. რაც შეეხება წვრილ-წვრილ, ანუ წვინტლიან პარტიებს, „გორბი“ უჩვენებს, რომ რეიტინგი პირდაპირ სამარცხვინოა: 1-დან („მოქალაქეები“) 4 %-მდე (“ლელო“, „გირჩი – მეტი თავისუფლება“ჰ „დროა“).

მდგომარეობა ოდნავ უკეთესია „ედისონ რისერჩის“ მიხედვით: 1%-დან („ევროპული საქართველო“) – 9%-მდე („საქართველოსათვის“).

„აირაი“ თითქმის იმეორებს „გორბის“ რეიტინგს: 1%-დან (“ევროპული საქართველო“, კონსერვატორული მოძრაობა „ალტ-ინფო“, „პატრიოტთა ალიანსი“, „ხალხის ძალა“) 4%-მდე („საქართველოსთვის“)...

შეიძლება ბრმად ენდო ამ მონაცემებს, შეიძლება ეჭვი შეიტანო (განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც „ედისონ რისერჩს“ დიდი იაღლიში მოუხდა – რეიტინგების ჯამში...102% გამოუვიდა!), მაგრამ ერთი რამ უდავოა: ისინი ასე თუ ისე მაინც გვიჩვენებენ ძალთა დანაწილებას, იმას, რომ ორ ლიდერს- ოცნებას და ნაცმოძრაობას შორის სხვაობა ძალზე დიდია, რომ დანარჩენ ჩყპყ პარტიებს მართლაც მოუწევთ თავის მტვრევა 5%-იანი ბარიერის გადასალახად. და აკი იმტვრევენ კიდეც, „რუსულ ოცნებას“ უტევენ კბილთა ღრჭიალით. კი არა სთხოვენ, კი არ ეაჯებიან, მოითხოვენ, ძალით სურთ წაგლიჯონ საარჩევნო ბარიერის დაწევა სულაც 2%-მდე. ოცნება კი ჯერჯერობით მტკიცედ დგას, ასეთი გაუმართლებელი დათმობით მათი საღლაბუცო და საღლიცინო რომ არ გახდეს.

2024 წელი ახალი ბაზალეთის წელი იქნება საქართველოში, ერთმანეთის პირისპირ დგებიან მხარეები, ერთი – ძლიერი, ერთიანი, ერთი იდეით შეკრული და მეორე- დაშლილ-დარღვეული, მთავარი აზრისგან დაცლილი, საეჭვო მეგობრების მოიმედე, ხალხს ჩაბღაუჭებული. თავს იჯერებენ, სტატუსი მიიღო ხალხმა და არა ხელისუფლებამ, ხალხი გაგვამარჯვებინებს არჩევნებში, ხალხი დაგვამხობინებს ხელისუფლებასო!..

არადა, თავისთავად ხალხის ასე თავგადაკლულ მოიმედედ ყოფნა არ ეგების. იმიტომ, რომ ხალხი მაშინ იმარჯვებს, როცა სათავეში ღირსეული პიროვნება უდგას, თორემ ისე, თავისთვის სივრცეში მყოფმა ხალხმა ნაკლებად რომ თავი გამოიდოს ევროკავშირის წევრობის სტატუსისთვის.

**აქ უპრიანი იქნება გავიხსენოთ ნაპოლეონ ბონაპარტეს ცნობილი სიტყვები: “ცხვრის ფარა, რომელსაც ლომი წინამძღოლობს, ყოველთვის დაამარცხებს ლომთა გუნდს, რომელსაც ცხვარი მეთაურობს“. იმ კაცმა იცოდა, რასაც ამბობდა.**

**როცა ხალხით აპელირებთ, როცა ხალხის იმედად ხართ, დიდი იმპერატორის ნათქვამს ნუ დაივიწყებთ, მით უფრო, რომ წინ მრავალი ხალხთძვრა გელით!**

**ალეკო ასლანიშვილი**




# ქართული „ნიურნბერგი“ – ტომისა და ჯერის თამაში

## ნაციონალების გარდა სხვა ალტერნატივა მართლა არ არსებობს?!

**ყოველი არჩევნების მოახლოებისას „ქართული ოცნებისთვის“ ერთ-ერთი კარგად ნაცადი და პოპულარული მესიჯია „ნაციონალების“ გასამართლება, რომ დამნაშავე პარტია უნდა გასამართლდეს, მაგრამ რეალურად ეს რჩება მორიგ შემოძახილად და საფუძვლად ისევ და ისევ არჩევნების წინ.**

ამჯერად „ნაციონალური მოძრაობის“ გასამართლებაზე ერთი-მეორის მიყოლებით ალაპარაკდნენ „ხალხის ძალის“ წევრები.

**დიმიტრი ხუნდაძე** ამბობს: „ნაცმოძრაობა“ დანაშაულებრივი პარტიაა და ყველა უნდა გასამართლდეს. სანამ პასუხს არ აგებენ, არაფერი ეშველება ჩვენს ქვეყანას“.

დიმიტრი ხუნდაძის ტონალობას არ ჩამორჩება „ხალხის ძალის“ კიდევ ერთი წევრი **სოზარ სუბარი**, ისიც სააკაშვილის რეჟიმის და „ნაცმოძრაობის“ გასამართლებას ითხოვს.

ამავე რიტორიკას იზიარებს **თამარ ჩიგურდანიძე** და ამბობს, რომ ნაცვლად იმისა, დამნაშავე რეჟიმის დასჯა მოეთხოვათ, თავს მოგვახვიეს კოჰაბიტაცია, რის შედეგადაც მკვლელები გადიდგულდნენ და კვლავ ძალაუფლებისთვის ბრძოლა დაიწყეს.

„ხალხის ძალის“ კიდევ ერთი წევრი **დავით ქართველიშვილიც** ამბობს, რომ საქართველოს თავისი „ნიურნბერგი“ არ ეღირსა და საკონცენტრაციო ბანაკის მომსახურე პერსონალი, ანუ „ნაცები“ კიდევ ბედავენ ხმის ამოღებას.

ყოფილ პოლიტპატიმარს, ანალიტიკოს **ვახტანგ მაისაიას** ამ ხელისუფლების პირობებში „ნაცების“ გასამართლების ილუზია დაემსხვრა. For.ge-სთან საუბრისას ანალიტიკოსი ამბობს, რომ „ნაციონალების“ პარტია საერთოდ დასახური და გასასამართლებელია, მაგრამ „ნაციონალების“ რომელ გასამართლებაზეა საუბარი, როცა ეს არის მხოლოდ ტომის და ჯერის თამაში.

**„ნაცების“ გასამართლება თუ მართლაც უნდოდათ, 2013 წელს ჰქონდათ იდეალური შესაძლებლობა, ეს ნაბიჯი გადაედგათ. ჩვენ, პოლიტპატიმრებმა, მოვამზადეთ სპეციალური დეკლარაცია, სადაც დეტალურად იყო მოცემული, თუ როგორ უნდა მომხდარიყო „ნაცთა“ გასამართლება. სხვათა შორის, გარკვეულწილად, ჩვენ მაშინ ნიმუშად ავიღეთ ძალიან საინტერესო პროექტი, რომელიც თავის დროზე პრეზიდენტმა ელცინმა წარადგინა და მოახდინა რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე კომუნისტური პარტიის აკრძალვა, ეს იყო საუკეთესო ვარიანტი. ეს იქნებოდა პრეცედენტი, არავინ არაფერს არ ეტყოდა ამასთან დაკავშირებით მაშინდელი „ქართული ოცნების“ კოალიციას, სადაც შედიოდნენ „რესპუბლიკელები“, „თავისუფალი დემოკრატები“ და წვრილ-წვრილი პარტიები, დღეს რომ წკმუტუნებენ. მარტო პარტია „ქართულ ოცნებას“ ვერ დავადანაშაულებთ, რომ მათ დაბლოკეს „ნაციონალების“ გასამართლება, თუმცა, ცხადია, „ქართული ოცნება“ ამ მხრივ დამნაშავეა, უფრო ზუსტად, კოალიციის თითოეული წევრი, ყველანი დამნაშავეები არიან. მათმა ლიბერალურმა შეხედულებებმა ქვეყანა მიიყვანა სახელმწიფოებრივ კრიზისამდე“**, – მიიჩნევს **ვახტანგ მაისაია**.

ანალიტიკოსის აზრით, „ნაცებისგან“ დაზარალებულ ამდენ ხალხს ღირსება შელახული აქვს. ესენი კი კატა-თაგვობანას თამაშობენ და ავიწყდებათ, რომ „ნაცები“ თაგვები არ არიან, „ნაცები“ დიდი ვირთხები არიან. როგორც წესი, კატა ამ ვირთხებთან თამაშობს, მათ ვერ იჭერს, ვითომ გაუშვებს და ისევ თავისკენ ექაჩება, ეს არის „ქართული ოცნების“ და „ნაცების“ თამაში.

რაც შეეხება საკითხს, თუ რატომ გაახმოვანა ამჯერად „ნაცების“ გასამართლების სურვილი „ხალხის ძალამ“, ამ პოლიტიკურ ძალას ვახტანგ მაისაია სერიოზულად არ აღიქვამს. მისი აზრით, „ქართულ ოცნებას“ საგარეო პოლიტიკური ორიენტაცია კიდევ მაინც გარკვეული აქვს და პროდასავლურ იმიჯს იქმნის, „ხალხის ძალა“ კი არის ევრაზიული ტიპის პოლიტიკური ძალა.

ანალიტიკოსი **რამაზ საყვარელიძე** მიიჩნევს, რომ „ნაცმოძრაობის“ გასამართლებაზე საუბარი უბრალო სატყუარაა, რომელიც სჭირდებათ იმისთვის, ხალხს დაანახონ თავიანთი პოზიცია, რომ თვითონ კრიტიკულები არიან „ნაცმოძრაობის“ მიმართ.

**„რამდენიმე სირთულე ახლავს „ნაცმოძრაობის“ გასამართლებას. თუკი უნდა გაასამართლონ ის, ვინც ხელს უწყობდა „ნაციონალურ მოძრაობას“, მაშინ ბიძინა ივანიშვილით უნდა დაიწყონ, რადგან მთელი წლები ეხმარებოდა „ნაცმოძრაობას“ ისე, როგორც ამას ბევრი ვერ დაიკვეხნის, მთელ სისტემებს უფინანსებდა „ნაცებს“ თავდაპირველად, პოლიციიდან დაწყებული. „ნაცმოძრაობის“ დროს შეიძლება არაერთმა ადამიანმა ჩაიდინა დანაშაული, მაგრამ ვინ უნდა დასაჯოს? ერთხელ ელდარ შენგელაიამ უსაყვედურა შევარდნაძეს, რა არის, კორუფციის კლიმატია თქვენს გარშემო, ყველა კორუმპირებული ადამიანი გარს გახვევიათ, დაიჭირეთ ეს ხალხიო. შევარდნაძემ კი კითხვა შეუბრუნა შენგელაიას, ვისი ხელით უნდა დავიჭიროო?! მართლაც, დგას ხოლმე ეს საკითხი, ვისი ხელით უნდა განხორციელდეს დამნაშავე ადამიანების გასამართლება? თუმცა ქადა შეიძლება შეიჭამოს ორივე ხელით, თუ გული გულობს“, – აცხადებს რამაზ საყვარელიძე და დასძენს, რომ ზედმეტად ემოციური ტექსტები აქვს „ხალხის ძალას“ და პოლიტიკურ რეალობას არ უწევს ანგარიშს.**

რამაზ საყვარელიძის აზრით, პოლიტიკური რეალობა ისაა, რომ ნელ-ნელა კარგავს ამომრჩეველს „ნაციონალური მოძრაობა“. ამდენად, „ოცნებას“ არ ადარდებს, რომ „ნაციონალების“ დროს უსამართლოდ დაზარალებული ხალხი მის მიმართ ნიჰილისტურადაა განწყობილი, რადგან „ნაციონალების“ გარდა სხვა ალტერნატივა არც არსებობს!!!

**მანანა ნოზაძე**

# გმირები კოტე აფხაზის კაბინეტიდან გვამხნევებენ!




**ორბელიანების სასახლეში ერთი საუკუნის წინათ, 1923 წლის 21 მაისს საბჭოთა ბოლშევიკური რეჟიმის მიერ ანტისაბჭოთა აჯანყების მომზადებისათვის დახვრეტილი 15 ქართველი სამხედროს დაჯილდოების ცერემონია გაიმართა.**

„სამხედრო ცენტრის“ წევრ 15 სამხედროს ეროვნული გმირის წოდება საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივით მიენიჭათ.

**ალექსანდრე ანდრონიკაშვილი, კონსტანტინე აფხაზი, ელიზბარ გულისაშვილი, ნიკოლოზ ზანდუკელი, იასონ კერესელიძე, ლევან კლიმიაშვილი, ალექსანდრე მაჭავარიანი, როსტომ მუსხელიშვილი, სიმონ მუხრან-ბატონი, ივანე ქუთათელაძე, ფარნაოზ ყარალაშვილი, დიმიტრი ჩრდილელი, ვარდენ წულუკიძე, სიმონ ჭიაბრიშვილი, გიორგი ხიმშიაშვილი** სიკვდილის შემდეგ, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის, სამშობლოსათვის თავგანწირვისა და ქვეყნის წინაშე აღმატებული ღვაწლისათვის დაჯილდოვდნენ.

**სახელმწიფო ჯილდოები საქართველოს პრეზიდენტმა ეროვნულ ბიბლიოთეკას გადასცა, სადაც ამ გმირების პატივსაცემად გახსნილ ,,კოტე აფხაზის კაბინეტში“ იქნება დაცული.**

როგორც საქართველოს პრეზიდენტმა დაჯილდოების ცერემონიაზე განაცხადა, აუცილებლად აღსანიშნავია ამ პიროვნებების სიდიადე, რომლებსაც დღეს ვაჯილდოებთ ეროვნული გმირის ორდენითა და წოდებით. დაჯილდოების ცერემონიას ესწრებოდნენ დახვრეტილ გმირთა შთამომავლები, ეროვნული ბიბლიოთეკის წარმომადგენლები და ახალგაზრდები.

## ,,ოცნების“ და ,,ნაცმოძრაობის“ ერთ პოლუსად გაერთიანება შეუძლებელია რომელიმე მათგანის მარცხის გარეშე



### ვაჟა ბერიძე:

# საქართველოში საზოგადოებრივი აზრის კვლევა მკვდარია!

**გვესაუბრება ანალიტიკოსი ვაჟა ბერიძე**

**– ბატონო ვაჟა, როგორ შეიძლება აიხნას რუსეთის გადაწყვეტილება, როდესაც აფხაზეთს უარი უთხრა ელექტროენერგიის უფასო მიწოდებაზე?**

– ჩვენთვის ისევ და ისევ რუსეთის გავლენის ხარისხის ყურადღების მიდევნება იქნება აუცილებელი და უაღრესად მნიშვნელოვანი. რუსებს, მიუხედავად იმისა, რომ სერიოზული თავის ტკივილი აქვთ უკრაინაში შეჭრით და ომის წარმოებით, როგორც კი სულს მოითქვამენ, იმ წუთში ისევ მარწუხებს მოუჭერენ აფხაზურ ელიტას, რომლის ამბიციები ხშირად საკმაოდ უნიადაგოა და ჯერ კიდევ ღრმა სეპარატისტული მისწრაფებებით გამოირჩევა, რომელიც ძირითადად, მითებზე და ლეგენდებზეა დაფუძნებული და არა წარსულის თუ დღევანდელობის რეალისტურ აღქმაზე. ამიტომ არ მიმაჩნია, რომ ეს ფაქტი რაიმე მნიშვნელოვანის მანიშნებელია.

დავუშვათ და, ვიფიქროთ, რომ აი, რუსეთმა გადაწყვიტა ვითარების შეცვლა აფხაზეთში, რადგან ჩვენი ხელისუფლება არ შეუერთდა სანქციებს და თითქოსდა აქ სიტუაცია რუსეთისთვის სასიკეთოოდ შეიცვლება, არც მაგისი რესურსი არ აქვთ, არც პოლიტიკური და არც ინტელექტუალური, რომ მოიქცნენ გონივრულად და ჩვენთან კეთილმეზობლური ურთიერთობა აღადგინონ და ელაპარაკონ ქართველ საზოგადოებას მომავალი ურთიერთობის შესახებ. არ ვარ მაღალი აზრის მათ პოლიტიკურ რეალიზმზე.

**– მოლოდინი, რომ შეიძლება რუსეთი თავად იყოს დაინტერესებული აფხაზეთის საკითხის დარეგულირებაში, გადაჭარბებულია?**

– არ არის ასეთი შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსი პუტინი. რუსული ინტერესების სამსახურის თვალსაზრისით, შეიძლება საუკეთესო მმართველი იყოს, მაგრამ არ არის ისე, რომ ასეთი ნაბიჯი გადადგას. შენ, სულ ისეთი გაჭირვებული უნდა იყო, რომ კომპრომისზე წახვიდე და რუსეთს საბჭოთა კავშირის აღდგენის პროცესში, რომელიც რაღაცა ფორმით მიმდინარეობს, ევრაზიული კავშირი იქნება, თუ სხვა მსგავსი გაერთიანება, ხელი არ შეუშალო. ეს არის რუსეთის ამოცანა. დასავლეთიდანაც საკმაოდ ბევრი არაადეკვატური პოზიცია დაფიქსირდა ბოლო პერიოდში. ჩვენი პოლიტიკური კლასის ამოცანაა ამას ყველაფერს ფრთხილად ადევნოს თვალ-ყური, მაგრამ ჩვენი პოლიტიკური კლასი ძირითადად დაკავებულია იაფფასიანი პოპულიზმით და პროპაგანდისტული ტაქტიკით და არ მგონია, რომ ღირსეულად გაართვან თავი ამ ამოცანას.

**– როგორც უკვე გაცხადდა, 15 დეკემბერს საქართველო მიიღებს კანდიდატის სტატუსს. 12 პუნქტიდან 9 პუნქტის შესრულების რეკომენდაცია მოგვცეს და ერთ-ერთი არის დეპოლარიზაცია. რამდენად შესაძლებელია ჩვენს მდგომარეობაში დეპოლარიზაციის შესრულება?**

– ჩემი აზრით, ეს 12-პუნქტიანი დავალება, რომელიც მიიღო ქვეყანამ, თავიდანვე იყო გარკვეული ინსტრუმენტი საქართველოს ხელისუფლებაზე ზემოქმედებისთვის. ერთი, რომ ამ პუნქტების შესრულება იმ თვალთახედვით, რა თვალთახედვითაც ჩვენ დაგვიწესეს, გულისხმობდა „ოცნების“ ხელისუფლების შეცვლას. სხვანაირად ამ პუნქტების შესრულება შეუძლებელი იყო. მეორე, ამის შესრულებას არც ჰქონდა მნიშვნელობა და არც აქვს, ჩემის აზრით, არცთუ ღირებული კანდიდატის სტატუსის მოსაპოვებლად. და მესამე, მაშინაც ასე ვფიქრობდი და ახლაც ასე ვფიქრობ, რომ ჩვენ გავხდებით თუ არა ევროკავშირის წევრობის კანდიდატი, ისე, როგორც უკრაინა და მოლოდოვა, ეს არის, იყო და იქნება წმინდა პოლიტიკური გადაწყვეტილება. ვერანაირი პუნქტები ამ პოლიტიკური გადაწყვეტილების მიზანშეწონილობას ვერ შეცვლის. ბიბლიური პრინციპია – ხვალისა ხვალემ თქვას. ხვალემდე ერთი თვეა დარჩენილი. ამ ერთ თვეში შეიძლება რამე შეიცვალოს. თუ შეიცვალა და უარის სათქმელად დაურჩათ საქმე, იტყვიან, რომ არ შესრულდა ეს პუნქტები. არადა პოლიტიკური გადაწყვეტილება იმ დასკვნით, რაც ჩვენ მივიღეთ, უკვე გაკეთებულია და ჩვენ უნდა გავხდეთ ევროკავშირის წევრობის კანდიდატი.

**– რაც შეეხება პოლარიზაციის დასრულებას?**

– ერთი ჭკვიანი ფილოსოფოსი ამბობდა, რომ გავერთიანდეთ, აუცილებელია გავემიჯნოთ. როცა გაიმიჯნება „ოცნება“ და მისი საპირწონე „ნაციონალური მოძრაობა“, რადგან, იმდენად შორი პოლუსებია, რომ მათ ერთ პოლუსად გაერთიანება შეუძლებელია ერთ-ერთი მხარის მეორისადმი დამორჩილების და მარცხის გარეშე. ამ ორიდან უნდა დარჩეს ერთი. ამის პერსპექტივაც რეალური არ არის.

ამიტომ, დეპოლარიზაცია ჯერ უნდა განისაზღვროს იმათ მიერ, ვინც ამას მოითხოვს ჩვენგან. მეორე, ჩვენს პოლიტიკურ კლასს – ნაციონალებს და „ოცნებას“ როგორ ესმით დეპოლარიზაციის დასრულება, ეს დაგვიზუსტონ. მერე უნდა გვითხრან, რატომ არ სრულდება საკმაოდ სერიოზული დეპოლარიზაცია აშშ-ში? ასე რომ, ჩვენ, რა თქმა უნდა, არ ვართ დიდი და დემოკრატიის მაღალი ხარისხის მქონე ქვეყანა, მაგრამ ასეთ საკითხებზეც ვფიქრობთ.

**– რას აძლევს საქართველოს კანდიდატის სტატუსი, როგორც ეკონომიკური, ასევე უსაფრთხოების კუთხით?**

– მარტივად და მოკლედ რომ ვთქვათ, ეს არის წინ გადადგმული ნაბიჯი ჩვენი მიზნის, ევროკავშირში გაწევრიანებისკენ მიმავალ გზაზე. თან, ეს ნაბიჯი არის სერიოზული. მიუხედავად იმისა, რომ რეალურად, სრულფასოვანი გაწევრიანების თვალსაზრისით, არანაირ უპირატესობას არ შეიცავს. მიუხედავად ამისა, ყველა მიმართულებით ევროსივრცესთან თანხვედრის თვალსაზრისით, გვაძლევს სერიოზული ნაბიჯების გადადგმის საშუალებას, მიახლოებას გაწევრიანების თაობაზე მოლაპარაკებების დასაწყებად, რაც არის პროცესი და რაც ყველა თვალსაზრისით, არის პოლიტიკური გადაწყვეტილებების წინაპირობა. ამიტომ, კარგია კანდიდატის სტატუსი, აუცილებელია მისი მიღება, მაგრამ ეს ყველაფერი ჩვენი პოლიტიკური კლასის მიერ უნდა იქნეს გასაგებად და მკაფიოდ ახსნილი, რასაც მთავარი პოლიტიკური ძალები ჯერჯერობით ან ვერ ახერხებენ, ან არ ახერხებენ და შესაბამისად, ვერ აკეთებენ.

**– 15 დეკემბერს მოგვანიჭებენ კანდიდატის სტატუსს, მაგრამ შემდეგი განვითარება როგორი იქნება? წინ გვაქვს საპარლამენტო არჩევნები და როგორც ჩანს, იგი თავისი შინაარსით იქნება ძალიან დაძაბული. როგორი იქნება ძალთა ბალანსი იმ კვლევების გათვალისწინებით, რომელიც ქვეყნდება?**

– ეს ყველაფერი არის ამ სპეციფიკური დროის და ვითარების გაგრძელება, რაც დღეს არის მსოფლიოში. შესაბამისად, ძალიან რთული იქნება, რომ სიმშვიდე მოვიპოვოთ და არჩევნები სამართლიანად და მშვიდად ჩავატაროთ. გარე ფაქტორები ამაზე სერიოზულ გავლენას მოახდენს ყველა თვალსაზრისით, იმის მიხედვით, როგორ განვითარდება მოვლენები რუსეთ-უკრაინის ფრონტზე და როგორ განვითარდება პროცესები ახლო აღმოსავლეთში. შესაბამისად, დღევანდელი ვითარებიდან გამომდინარე, „ქართულ ოცნებას“ ხელისუფლებაში დარჩენის კიდევ ერთი შანსი აქვს, ასეთია ქართველი საზოგადოების დღევანდელი განწყობა.

ვერ გეტყვით ექვსი თვის შემდეგ რა განწყობა იქნება, მაგრამ რეალურად ასეთი ვითარებაა დღეს. არ ველი, რომ 2024 წლისთვის ვითარება შეიცვლება და რომელიმე ძალა – მთავარი ოპოზიციური ძალა „ნაციონალური მოძრაობა“, ან სხვა ახალი პარტია, თუ კოალიცია შეძლებს სერიოზული წინააღმდეგობა გაუწიოს „ქართულ ოცნებას“ ხელისუფლებისთვის ბრძოლაში. რაც შეეხება განწყობას და რამდენად ზუსტად ასახავს ამას გამოკითხვები... მე დიდი ხანია ვამბობ, რომ სოციოლოგია, როგორც საშუალება საზოგადოებრივი აზრის კვლევისა, საქართველოში არის მკვდარი, არ არსებობს. ეს არის მექანიზმი და ინსტრუმენტი საზოგადოებრივი აზრის მართვის და არა კვლევის. ამიტომ, ვიდრე არ ჩამოყალიბდება ავტორიტეტული სოციოლოგიური კვლევითი კომპანიები, რომელთა კვლევასაც ყველა ენდობა, უბრალოდ, უადგილოდ მეჩვენება ამ არსებული კვლევის შედეგებზე საუბარი.

ესაუბრა
**თამთა ქარჩავა**

# მთავრობა ენერგეტიკული მიმართულებით გააქტიურდება



## ჯერ მცირე ჰესებით დავიწყოთ, მერე მსხვილ პროექტებს მივუბრუნდეთ...

**ნამახვანის, ნენსკრას და ხუდონის პროექტები შესაძლებელია, ძალიან მოკლე პერიოდში განხორციელდეს. „საქართველოს მაღალი კაშხლების ეროვნული კომიტეტის" თავმჯდომარის დავით მირცხულავას აზრით მსგავსი სტრატეგიული მნიშვნელობის ენერგოპროექტების გადაყოვნება დაუშვებელია.**

ჰიდროენერგეტიკული სექტორის განვითარებისთვის მიისწრაფის მთავრობაც, რომელიც რამდენიმე მიმართულებით ცდილობს გააქტიურებას.

**„მე სამივე პროექტს ვიცნობ და ვერ ნახავთ ქვეყანას, ვისაც ასეთი პროექტები შეიძლება ჰქონდეს და არ განახორციელოს, ასეთი პოტენციალი ჰქონდეს და არ აითვისოს. ამაზე ჩვენ ყველა ვსაუბრობთ, მაგრამ მეორე მხრივ, ზოგიერთი – ექსპერტს დავარქმევ, გამოდის და ამბობს, განახლებადი ენერგია უნდა განვავითაროთო... განახლებადი ენერგია ვერ განვითარდება, თუ ჩვენ ამ მანევრულ ჰიდროსადგურებს არ ავაშენებთ. ეს ეხება ჰიდროაკუმულაციურ, მარეგულირებელ ჰესებს, კაშხლიან ჰესებს, რომელიც მოგვცემს საშუალებას, რომ რაც შეიძლება მეტი განახლებადი ენერგიის წყარო ინტეგრირდეს ჩვენს სისტემაში. ეს რესურსი, რომელიც ღმერთისგან გვაქვს ბოძებული, უნდა ავითვისოთ",** – აღნიშნა „საქართველოს მაღალი კაშხლების ეროვნული კომიტეტის" თავმჯდომარემ **დავით მირცხულავამ**.

მისივე თქმით, ახლა, გადამუშავებული პროექტების ახლებურად განხორციელების პერსპექტივა დიდია.

**„ვხედავ პერსპექტივას იმით, რომ პროექტები ახლა გადამუშავების სტადიაშია, ძალიან დიდი ხნის ისტორია აქვს და ვფიქრობ, რომ იმ ახალი მიდგომებით, რაც ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრომ გააჟღერა, შესაძლებელია, ეს პროექტები ძალიან მოკლე ვადაში განხორციელდეს, რაც ძალიან მნიშვნელოვანი იქნება ჩვენი ქვეყნისთვის.**

**ზოგადად, გაიჟღერა უამრავმა არასწორმა ინფორმაციამ. სტატისტიკას თუ გადავხედავთ, ბეტონის კაშხალი საერთოდ არ დანგრეულა არც ერთი სეისმური რისკის გათვალისწინებით და მაღალსაიმედოდ გამოიყურება. მაგრამ, არამც და არამც, არც ერთხელ არ მითქვამს, რომ არ უნდა მიექცეს სეისმური მდგრადობის კრიტერიუმებს ყურადღება. ეს აუცილებლად უნდა გაკეთდეს. ამასთან, მეტი საუბარია მოსახლეობასთან საჭირო და ვფიქრობ, რომ ადამიანები მიხვდებიან, რომ ეს ის რესურსია, რომელიც უნდა ავითვისოთ"** – განაცხადა მირცხულავამ „ბიზნესპარტნიორთან".

ენერგეტიკოსების პოზიციას სრულად იზიარებს მთავრობაც, სადაც უკვე მკაფიოდ მიანიშნეს, რომ ნამახვანის ჰესის მშენებლობის საკითხი მალე დაიძვრება და ევროპული ინვესტორის შემოყვანას აპირებენ. პროექტი, სავარაუდოდ, თავიდან გადაიხედება.

**მანამდე კი მთავრობა პატარა ჰესების აშენებას მოუსინჯავს კბილს. უკვე ცნობილია, რომ ონისა და ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტებში 30 მლნ დოლარის ღირებულების ორი ახალი ჰიდროელექტროსადგური აშენდება. საკითხი საქართველოში ჰიდროელექტროსადგურების განვითარებისა და ხელშეწყობის პროექტი მთავრობის სხდომაზე განიხილეს. ონის მუნიციპალიტეტში 11,8 მგვტ სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგური აშენდება, ხოლო ჩხოროწყუს ჰიდროელექტროსადგურის დადგმული სიმძლავრე 6 მგვტ იქნება.**

ბექა დანელია



# გამოსანთლული ქვევრი ქვევრი არ არის!

**ქვევრის ღვინის მწარმოებლებისთვის ქართული ქვევრის ხარისხი ბოლო წლებში ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად იქცა. მეღვინეების ნაწილს ურჩევნია, ქვევრი საზღვარგარეთ იყიდოს, რადგან გაზრდილი მოთხოვნა საქართველოში წარმოებული ქვევრის ხარისხზე უარყოფითად აისახა.**

გადაცემა „რედაქტ2"-თან ინტერვიუში „ფაფრის ველის" დამფუძნებელი **შალვა ქურდაძე** ამ მიმართულებით არსებულ პრობლემებზე საუბრობს და ამბობს, რომ განიხილავენ, ქვევრი არა საქართველოში, არამედ ესპანეთში ან სლოვაკეთში შეიძინონ.

**„მაგალითად, შარშან შეკვეთილი მქონდა ქვევრები და უკან დავუბრუნე ხელოსანს, რომელმაც 10 წლის წინათ დამიმზადა ქვევრები. 10 წლის წინ არ იყო ამდენი მოთხოვნა და ყურადღებით აკეთებდნენ. დღეს, როცა გაჩნდა დიდი მოთხოვნილება, ძალიან ჩქარობენ. შეკვეთების აღება არ ეზარებათ, ამ საქმეს კი ძალიან დიდი კონცენტრირება და ყურადღება სჭირდება.**

**ჩვენ უკვე განვიხილავთ ესპანეთში ან სლოვაკეთში ქვევრების შეძენის საკითხს. საქართველოში სამწუხაროდ, აღარ ვიყიდი. გამოსანთლული ქვევრი ქვევრი არ არის და თუ არ გამოსანთლე ქართული ქვევრი, ის ვერ გაუძლებს 2 წელსაც. ესეც საბაზისო და ფუნდამენტური პრობლემაა, რომლის გადაჭრის გარეშეც დარგი ვერ განვითარდება",** – განაცხადა **შალვა ქურდაძემ.**

ქვევრის ხარისხის პრობლემაზე ისაუბრა „იაგოს" მეღვინეობის დამფუძნებელმაც. **იაგო ბიტარიშვილის** განცხადებით, პრობლემაა ქვევრის დამზადების ტექნოლოგია, რადგან ახლად დამზადებული ქვევრების გარკვეული ნაწილი არასათანადოდაა გამომწვარი, რაც ქვევრის ღვინის მწარმოებლებს აზარალებს:

**„სადღეისოდ ბაზარზე ხარისხიან ქვევრს ვერ იყიდი. პირდაპირ ვამბობ, ბოლო 5-7 წელია ქვევრის ყიდვა მინდა და ვერ ვყიდულობ. ეს არის ძალიან დიდი პრობლემა და ამ სიტუაციაში ყველაზე ნაკლებად დამნაშავე მექვევრეები არიან; მათ 8 000 წლის განმავლობაში ეს ხელობა შემოგვინახეს და ახლა სხვა სიმაღლეზე, ხარისხზე უნდა გადავიდეთ. ეს უნდა გახდეს ბიზნესი. ეს ხელობა არ უნდა დაიკარგოს",** – განაცხადა **იაგო ბიტარიშვილმა.**

# ტყუილია!

## რაჭაში ტყე არ გაყიდულა!

**გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო კიდევ ერთხელ ეხმიანება რაჭის ტყეების თემას და განცხადებას ავრცელებს.** უწყების ცნობით, ტყუილია, რომ თითქოს რაჭაში ტყე გაიყიდა.

**„რაჭაში ტყე არ გაყიდულა. ლიცენზია, გულისხმობდა არა ტყის გაყიდვას, არამედ სამონადირეო მეურნეობის მოწყობას 5 მილიონზე მეტი ლარის ინვესტიციით რეგიონის განვითარებისთვის და ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებისთვის.**

**რაც შეეხება ლიცენზიის გაუქმებას: ლიცენზიის პირობების შეუსრულებლობის გამო, მიმდინარე წლის მაისიდან დავიწყეთ პროცესი. არ არსებობს არანაირი საფუძველი საპროტესტო აქციების გასამართად, რაც ავუხსენით აქციის მონაწილეებს – შევხვდით რაჭაში, ასევე, წერილობით გავუგზავნეთ ინფორმაცია ლიცენზიის გაუქმებასთან დაკავშირებული პროცესის შესახებ, მედიაშიც გავავრცელეთ ინფორმაცია. სამონადირეო ლიცენზიის ძალადაკარგულად გამოცხადების საკითხის განხილვა მოხდება კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით შესაბამის ვადებში.**

**რაც შეეხება ლიცენზიის გაყიდვას ან გასხვისებას, დღეს როცა საუბარია ლიცენზიის გაუქმებაზე, ეს საკითხი ნაკლებად აქტუალურია. გარემოს ეროვნულ სააგენტოსთან შეთანხმების გარეშე ვერ მოხდება ლიცენზიის ვერც გაყიდვა და ვერც გაჩუქება. სააგენტოსთვის ამ დროისთვის არავის მოუმართავს. ადმინისტრაციული წარმოების პროცესში მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ ეტაპობრივად ეცნობება საზოგადოებას",** – აღნიშნულია უწყების მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

# დუშეთში საჯარო ბიბლიოთეკა გაიხსნა

**დუშეთში რამდენიმე წლიანი პაუზის შემდეგ საჯარო ბიბლიოთეკა გაიხსნა.**

შენობას, რომელსაც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი აქვს, სრული რეაბილიტაცია რეგიონული განვითარების მესამე პროექტის ფარგლებში, მსოფლიო ბანკის დაფინანსებით ჩაუტარდა. სამუშაოები მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ განხორციელდა.





# ეროვნულმა გვარდიამ მოსწავლეებს უმასპინძლა

**ეროვნულ გვარდიაში თბილისის №72 საჯარო სკოლის მოსწავლეები პროექტის „ერთი დღე ჯარში" ფარგლებში ესტუმრნენ.**

თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, სკოლის მოსწავლეებს ეროვნული გვარდიის სამხედრო მოსამსახურეებმა უმასპინძლეს და გვარდიის ფუნქციასა და ამოცანებზე პრეზენტაცია წარუდგინეს. ახალგაზრდებმა დეტალური ინფორმაცია მიიღეს ტერიტორიული რეზერვის პროგრამის შესახებაც. პრეზენტაციის დასრულების შემდეგ ეროვნული გვარდიის წარმომადგენლებმა მოსწავლეების შეკითხვებს უპასუხეს. პროექტის ფარგლებში, მოსწავლეებმა ეროვნული გვარდიის ინფრასტრუქტურა და გამოფენილი სამხედრო ტექნიკა და აღჭურვილობა დაათვალიერეს. სტუმრები დღის ბოლოს სასადილოსაც ეწვივნენ და „ჯარისკაცის ულუფა" დააგემოვნეს.

# სპორტული კომპლექსი ახალსოფელში



**ყვარლის მუნიციპალიტეტის ახალსოფლის სპორტული კომპლექსი ოფიციალურად გაიხსნა. შენობა მოიცავს სპორტულ დარბაზს და მაყურებლისთვის გათვლილ სივრცეს. გარდა ამისა, მოეწყო გასახდელი და სპეციალური ოთახები.**

მშენებლობა რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის დაფინანსებით განხორციელდა და მისმა ღირებულებამ 1 მილიონ 788 ათასი ლარი შეადგინა.

კომპლექსის გახსნას რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე, კახეთში სახელმწიფო რწმუნებული და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები დაესწრნენ.

# ეგრისობა – 2023




# სენაკელთა სიტყვა

**წლეულს, ოქროსფერი შემოდგომის, განსაკუთრებით ღვინობისთვე-გიორგობისთვის თბილ და ტკბილ დღეებში, სრულიად საქართველოს ქალაქებსა და მუნიციპალიტეტებში ჩვენი პრემიერ-მინისტრის თაოსნობით ფართო მასშტაბით აღინიშნება ტრადიციული სახალხო დღესასწაულები – თითოეული მხარისთვის დამახასიათებელი, ტრადიციული ეთნო-კულტურის წარმოჩენით.**

**უჩვეულოდ მზიანი დარი იდგა 12 ნოემბერს სამეგრელოში. ამ დღეს სენაკის მუნიციპალიტეტში უამრავ სტუმარს და მასპინძელს მდინარე ტეხურის სანაპიროზე ვრცლად გაშლილი, დასავლეთ საქართველოს უძველესი, უმნიშვნელოვანესი ციხე-გოჯის, ერთ დროს ეგრისის სამეფო დედაქალაქის, ნოქალაქევის უნიკალური, დღეს არქიტექტურულ-არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალისკენ მიეჩქარებოდა, სადაც საერო, სახალხო დღესასწაული „ეგრისობა“ იმართებოდა.**

მანამდე კი, ამავე დღესასწაულის ფარგლებში, სენაკის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრში, ჰაიკო და ანრი გახარიების ნამუშევრების პერსონალური გამოფენა გაიხსნა, რომელსაც უამრავი დამთვალიერებელი ესტუმრა. აქ იყვნენ, რა თქმა უნდა, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები და მხატვარ გახარიების ახლობლები. მართლაც რომ დახვეწილი ფერწერა ვიხილეთ: თემატიკით, მრავალფეროვნებით, სისადავით, ჰაეროვნებით გამორჩეული, უიშვიათესი ნახატებით... ეს ყველაფერი კი, ამაღლებულ განწყობას ქმნიდა და ამშვენებდა მზის სხივებით უხვად განათებულ საგამოფენო დარბაზს;

ნაშუადღევს ნოქალაქევის დიდებულ მუზეუმ-ნაკრძალში, რომელიც დიდი მეცნიერის და მკვლევარის პარმენ ზაქარაიას სახელს ატარებს, ღია ცის ქვეშ, ფართოდ გაშლილ ტერიტორიაზე, თანამედროვე ეგრისელების რამდენიმე თაობის ერთობლიობით, დიდი კულტურისა და ტრადიციების ულამაზესი სანახაობა გაიმართა.

...სენაკის საჯარო სკოლებისა და ადმინისტრაციის მესვეურთა ხელმძღვანელობით, მოეწყო შემოდგომის ჭირნახულის კუთხე, მეგრული სამზარეულო, დეგუსტაცია, გამოფენები, თეატრალიზებული სანახაობები, ხელოვნების, მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრების წარმომადგენელთა კონცერტები, საბავშვო სივრცეები, მრავალფეროვანი ნუგბარის გამოფენა, ხატვის მასტერკლასები, ცენტრებთან არსებული ქორეოგრაფიული და ფოლკლორული ჯგუფების კონცერტი; საინტერესო იყო **ესმა კუნჭულიას** მიმოხილვითი საუბრები: „გასტრონომიული მუზეუმი“ – „ისტორია თეფშზე“ – ოთხი უძველესი კერძის აღდგენა; **ანა მიქაძის** – „ამბავი ქართულ ყველზე“; ღვინის, თაფლის, დეგუსტაცია, მასტერკლასები; ადგილობრივი მეწარმე ქალების ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა... ახალგაზრდულ მრჩეველთა საბჭოს კუთხე – „იმოგზაურე წარსულში“. მონიტორზე ტრიალებდა ფერადი ვიდეორგოლი: „ერთად განვაახლოთ სენაკი“.

**ეს იყო გოლო პერიოდში ჩატარებული მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტების პრეზენტაცია.**

სენაკის მუნიციპალიტეტის მერი **ვახტანგ გადელია,** საკრებულოს თავმჯდომარე **საბა ოდიშარია** და ფოთის, სენაკისა და ხობის მაჟორიტარი დეპუტატი **გიორგი ხახუბია** დედაქალაქიდან მოწვეულ საპატიო სტუმრებთან, საქართველოს სხვადასხვა მხარის გუბერნატორებთან, ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების მერებთან, ბიზნესის და სხვა სფეროების წარმომადგენლებთან, ჟურნალისტებთან ერთად, მივდიოდით საინტერესოდ განფენილ, შემოდგომის ხვავ-ბარაქით დამშვენებულ კუთხეებთან, ვაგემოვნებდით მეგრულ ნაირფეროვან, ტრადიციულ კერძებს, რომელთა მომზადების სპეციფიკას იქვე გვაცნობდნენ, ვისმენდით კლასიკურ და ხალხურ სიმღერებს, ვუყურებდით ცეკვებს, სპორტულ შეჯიბრებებს... ბავშვებისთვის რამდენიმე ადგილას იყო გაშლილი საჭიდაო მოედანი, მოსწავლე-ახალგაზრდობის, ხელოვნებისა და კულტურის ცენტრების შემოქმედებითი ანსამბლები თავიანთ შემოქმედებას გვაცნობდნენ, ენერგიული და თვალებანთებული ვახტანგ გადელია იღიმოდა და თითქოს გვეუბნებოდა: **მოთმინება, მოთმინება, ბატონებო!** და ასე ვინაცვლებდით სხვადასხვა შემეცნებით თუ გასართობ სანახაობებზე.




სახალხო დღესასწაულს ესწრებოდნენ ცნობილი სასულიერო პირები, საქართველოს პარლამენტის წევრი **ირაკლი ჩიქოვანი;** სახელმწიფო რწმუნებული სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში **გიორგი გუგუჩია;** აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილი მთავრობის ცალკეული სამინისტროების ხელმძღვანელი მუშაკები.

იმ დღეს სამეგრელოს სტუმრობდა საქართველოს ყოფილი მთავრობის თავმჯდომარე და სახელმწიფო მინისტრი **ავთანდილ ჯორბენაძე,** ვეტერანი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწენი.

და აი, დადგა ამაღელვებელი მომენტი 2023 წლის საპატიო სენაკელების არჩევისა:

სენაკის საპატიო მოქალაქის წოდება, ქალაქისა და ქვეყნის წინაშე გაწეული განსაკუთრებული დამსახურებისთვის, ხანგრძლივი და წარმატებული პროფესიული საქმიანობისთვის მიენიჭათ:






ეგრისობის დაუვიწყარი კადრები




**გია ადამიას** – ქალაქის კოლორიტს, ქველმოქმედს, ბიზნესმენს;

**მანანა ჭანტურიას** – შოთა მესხიას სახელობის ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების სენაკის ცენტრის ხელმძღვანელს;

**გურამ ზესაშვილს** – შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის უფროსს, პოლიციის პოლკოვნიკს;

**ლაშა ტალახაძეს** – ქართველ ძალოსანს, ორგზის ოლიმპიურ, შვიდგზის მსოფლიოს და შვიდგზის ევროპის ჩემპიონს;

**გურამ მისაბიშვილს** – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იძულებით გადაადგილებულ პირთა მინისტრის პირველ მოადგილეს;

**შოთა ლომიას** – აფხაზეთის და სამაჩაბლოს ომის ვეტერანს, პოლიციის წარჩინებულს;

**ვახტანგ ბესელიას** – თანამედროვე ქართული მხატვრობის ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენელს, საპატიო ბათუმელს, აჭარის ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს;

**ლალი გოგინავას** – სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს;

**გიორგი სალაყაიას** – კომპანია „ბადაგონის“ დამფუძნებელს და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს, სან მარინოს რესპუბლიკის საპატიო კონსულს საქართველოში, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორს, ქველმოქმედს;

**კახაბერ ივანიძეს** – მეცენატს, ცნობილ ბიზნესმენს;

**ამირან აფაქიძეს** – წარჩინებულ მეწარმეს, ინჟინერ-მშენებელს;

**მარიამ ქუჩულორიას** – კერძო მეწარმეობის საერთაშორისო ცენტრის მრჩეველს, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზების საბჭოს და ევროპული ბიზნეს-ასოციაციის თანადამფუძნებელს;

**პაიკო გახარიას** – თანამედროვეობის ერთ-ერთ გამორჩეულ მხატვარს;

**ვენერა ლიპარტიას** – სენაკის ფერმერთა სკოლის ლიდერს, წარმატებულ მეწარმეს;

**გიორგი თოლორდავას** – მრავალპროფილური სამედიცინო კლინიკა „სენა-მედის“ დამფუძნებელს, ცნობილ ექიმს;

**სულო სეფიაშვილს** – ჟურნალისტს, პოეტს, ისრაელში მოღვაწე სენაკელ ებრაელს.

# და საქმე

დაჯილდოების ცერემონიალზე შეკრებილ საზოგადოებას მიესალმნენ: საქართველოს პარლამენტის წევრი, სენაკის, ხობის და ფოთის მაჟორიტარი დეპუტატი გიორგი ხახუბია; სენაკის მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ გადელია, საკრებულოს თავმჯდომარე საბა ოდიშარია.

სახალხო დღესასწაული „ეგრისობა“ მუსიკალურად გააფორმეს და პოპულარული სიმღერებით დაამშვენეს დედაქალაქიდან ჩამოსულმა ცნობილმა ანსამბლებმა: „ქართული ხმები“, „შვიდკაცა“, „თეატრალურის კვარტეტი“, „ალილო“, „ფორტე“ და ბენდმა დავით მაზანაშვილის ხელმძღვანელობით.

საპატიო სენაკელების დაჯილდოების ცერემონია და გალაკონცერტი ჩვეული ოსტატობით მიჰყავდა ცნობილ თეატრმცოდნეს, ტელეწამყვანს, პოპულარულ ჟურნალისტს ნიკოლოზ წულუკიძეს. ახალშეღამებულზე, იდუმალი ნოქალაქევის ვარსკვლავებით მოჭედილი ცა, ცეცხლოვანმა ფოიერვერკებმა კიდევ უფრო გაასხივოსნეს.

* * *

**ქვეყნის პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის თაოსნობით წლეულს საქართველოს ყველა მხარესა და რაიონში გამართული სახალხო ზეიმები, უპირველეს ყოვლისა, ქვეყანაში დამკვიდრებული მშვიდობიანი აღმშენებლობის, ეკონომიკური და კულტურული წინსვლის გულწრფელი, ყველასთვის სასურველი დათვალიერება იყო. 12 ნოემბრის სენაკის სახალხო მამითადმა კი იმის რწმენაც ჩაგვინერგა, რომ „საქართველოს ხერხემალი“ – სამეგრელო და ამ სამეგრელოს ფუძძლიერი პატარა მუნიციპალიტეტი სწორი გზით ვითარდება.**

**უფლის წყალობა არ მოგკლებოდეთ, სენაკელებო!**

**ლეილა ნოდია,**
**რუსუდან ქობულია,**
**(ჩვენი სპეც. კორესპონდენტები)**
**სენაკი-თბილისი**

# ბათუმის ბულვარში სკეიტპარკი შენდება

**ბათუმში ახალი საერთაშორისო სტანდარტების სკეიტ და როლერ პარკის მშენებლობა მიმდინარეობს, რომელიც ახალი ბულვარის ტერიტორიაზე 4800 კვ.მ ფართობზე განთავსდება,** – ამის შესახებ ინფორმაციას აჭარის მთავრობა ავრცელებს.

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძემ სკეიტმოედანზე მიმდინარე სამუშაოები ბათუმის მერთან არჩილ ჩიქოვანთან და ბულვარის დირექტორთან ლაშა მიქელაძესთან ერთად დაათვალიერა. ინფრასტრუქტურული პროექტის ფარგლებში დაგეგმილია დასასვენებელი სივრცეების, მაყურებელთა ტრიბუნების, განათების სისტემის მოწყობა. უკვე დასრულდა მიწისქვეშა საკომუნიკაციო ქსელის მოწყობა და ამჟამად, მიმდინარეობს დეკორატიული თაღების და დასასვენებელი სივრცეების მშენებლობა.



ახალი პროექტი ბათუმის ბულვარის განვითარებისა და განაშენიანების გეგმისა და მსოფლიო სკეიტბორდის ფედერაციის სტანდარტების შესაბამისად შემუშავდა. მულტიფუნქციური სპორტული სივრცე სკეიტბორდის მსოფლიო ჩემპიონატს, რეგიონულ და ადგილობრივ სპორტულ ღონისძიებებს უმასპინძლებს.

# უცნობი თერგდალეული ლახვარიძე!..



## დიმიტრი ნადირაშვილი-მაჩხანელი

**120 წელი შესრულდა მე-19 საუკუნის პოეტის, პუბლიცისტის, საზოგადო მოღვაწის, მეწარმისა და მეცენატის დიმიტრი ნადირაშვილი-მაჩხანელის გარდაცვალებიდან.**

დიმიტრი ნადირაშვილი-მაჩხანელი დაიბადა 1861 წლის 11 იანვარს სიღნაღის მაზრის სოფელ ქვემო მაჩხაანში. იყო მოსკოვის უნივერსიტეტის თავისუფალი მსმენელი. მალე დაბრუნდა საქართველოში და დაიწყო ჟურნალისტური მოღვაწეობა. მისი სტატიები, პიესები და პუბლიცისტური წერილები იბეჭდებოდა ჟურნალ-გაზეთებში „ივერიაში“ „კვალში“, „მოამბეში“, „აკაკის კრებულში“, „ჯეჯილში“. სრულიად ახალგაზრდამ, 19 წლისამ გამოსცა ლექსების კრებული „ახალი სიზმარი“, ხოლო 30 წლისამ მეორე წიგნი „ძმური სიტყვა“. მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა ილია ჭავჭავაძესთან, ვაჟა-ფშაველასთან, შიო მღვიმელთან, სხვა მწერლებთან და საზოგადო მოღვაწეებთან.


მარცხნიდან – შიო მღვიმელი, დიმიტრი ნადირაშვილი-მაჩხანელი, ვაჟა-ფშაველა

დ. ნადირაშვილი-მაჩხანელი ძირითადი ფსევდონიმის გარდა წერდა „თერდგალეულის“, „მთადიდელის“, „ლახვარიძის“ ფსევდონიმებით. მისი ზოგიერთი ლექსი იქცა სიმღერად: „ჩემს საყვარელ სამშობლოს“, „ვედრება“, „ტურფავ, მოდი, ნუ ხარ მტრულად“. მუსიკა ამ სიმღერებისათვის ეკუთვნის ნიკოლოზ სულხანიშვილს.

დიმიტრი ნადირაშვილი-მაჩხანელმა მრავალი მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი და საქველმოქმედო საქმე გააკეთა ქიზიყის რეგიონში. 1895 წელს დააარსა ამიერკავკასიაში პირველი სახალხო ნებაყოფლობითი სამომხმარებლო-სავაჭრო კოპერაციული საზოგადოება, რომლის აქტიურმა მუშაობამ საკმაო შემოსავალი მიიღო. ამ შემოსავლებით ეხმარებოდნენ მოსახლეობას. გახსნეს მაღაზიები არა მარტო რეგიონში, არამედ დედაქალაქშიც. დაამყარა კონტაქტები საფრანგეთის სავაჭრო კოოპერატივებთან. შემოიტანეს საქონელი, დაასაქმეს მოსახლეობა. ახალგაზრდობა გააგზავნეს სასწავლებლად. გაიხსნა „საერო სამონასტრო სკოლა“, „საქალებო სკოლა“, სადაც ხელსაქმესაც ასწავლიდნენ. ამ სკოლას დ. ნადირაშვილმა თავისი ადგილი და შენობა გადასცა. გაიხსნა წიგნის მაღაზია და სამკითხველო-წიგნსაცავი. სოფელ ქვემო მაჩხაანის ახალგაზრდობამ დაიწყო სპექტაკლების დადგმა. მათ მიერ დადგმული სპექტაკლები – ა. ცაგარელის „ბაიყუში“ და „რაც გინახავს ვეღარ ნახავთ“ პოპულარული იყო მთელ ამ მხარეში და შემოსავალიც მოჰქონდა. იდგმებოდა სპექტაკლები წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სასარგებლოდაც. ამ სპექტაკლების დადგმამ განაპირობა თეატრის შენობის აშენების იდეის წარმოშობა.

დ. ნადირაშვილის თაოსნობით და მატერიალურ-ფინანსური მხარდაჭერით 1899 წელს დამთავრდა ქვემო მაჩხაანის თეატრის შენობის მშენებლობა. ეს იყო ერთ-ერთი პირველი თეატრი საქართველოში, რომელსაც მოძრავი სცენა ჰქონდა. შეიქმნა თეატრალური დასი, რომელიც სერიოზულ სპექტაკლებს მართავდა. სამწუხაროდ, დღეს ეს შენობა გამოკეტილი და მიტოვებულია.

დ. ნადირაშვილი-მაჩხანელი გარდაიცვალა სრულიად ახალგაზრდა, 42 წლის ასაკში 1903 წლის 16 ოქტომბერს.

5 ნოემბერს სრულიად საქართველოს ნადირაშვილთა საგვარეულო კავშირის საბჭოს წევრები იმყოფებოდნენ სოფელ ქვემო მაჩხაანში. მათ გვირგვინით შეამკეს სოფლის ცენტრში მდგარი დიმიტრი ნადირაშვილი-მაჩხანელის ბიუსტი და პატივი მიაგეს მის ხსოვნას. შემდეგ კი მისი შთამომავლის - პოეტის, მწერალთა კავშირის წევრის ვასილ ნადირაშვილის მარანში ადგილობრივ ნადირაშვილებთან ერთად, შეისვა მისი ხსოვნისა და ნადირაშვილთა სადიდებელი სადღეგრძელოები.

**ვაჟა ნადირაშვილი**


ნადირაშვილების შეკრება



# რატომ ეჩვენება ლავროვს, რომ სამხრეთ კავკასიიდან აძევებენ?!

## სამხრეთ კავკასიაში ევროკავშირზე მეტად თურქეთის დომინირება იგრძნობა

**ვინ აძევებს რუსეთს ამიერკავკასიიდან და ცენტრალური აზიიდან?! რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი ამ თემაზე მას შემდეგ ალაპარაკდა, რაც საქართველომ ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი მიიღო. ლავროვი ერთგვარად დაიმუქრა კიდეც, რომ ევროკავშირს არ გამოუვა რუსეთის გაძევება ამ ტერიტორიებიდან, რადგან რუსეთი ამ რეგიონებში ისტორიულად მდებარეობს და არსად გაქრება, რაც მოსკოვის მოკავშირეებმა და პარტნიორებმა კარგად იციან.**

**სინამდვილეში, ვინ არის რუსეთის მოცილე სამხრეთ კავკასიის რეგიონში, ეს კრემლში ყველაზე კარგად იციან, რომ ეს თურქეთია, მაგრამ თურქეთის ხსენებას ლავროვი ერიდება და ევროკავშირისკენ გადააქვს ისრები.**

**რამდენად საშიშია სამხრეთ კავკასიიდან „გაძევებული“ ლავროვის მუქარა?**

ყოფილი სახელმწიფო მინისტრი, პოლიტოლოგი **პაატა ზაქარეიშვილი** ფიქრობს, რომ ერთადერთი ქვეყანა, რომელიც ევროკავშირთანაა დაკავშირებული, საქართველოა, რადგან საქართველომ მალე უნდა მიიღოს კანდიდატის სტატუსი. არც სომხეთს, არც აზერბაიჯანს, არც ცენტრალური აზიის ქვეყნებს – თურქმენეთს, ყაზახეთს, ყირგიზეთს, უზბეკეთს, ტაჯიკეთს არ აქვს ასეთი ინსტიტუციონალური გზა ევროკავშირთან, როგორც საქართველოს გაუჩნდა ეს გზა უკრაინასა და მოლდოვასთან ერთად.

**„ამ ფონზე, ბუნებრივია, ლავროვმა იგულისხმა საქართველო, როცა ახსენა, რომ რუსეთს სამხრეთ კავკასიიდან აძევებენ. თუმცა რატომ „ავიწყდება“ ლავროვს, რომ საქართველოს კონსტიტუციაში უწერია თავისი მისწრაფების შესახებ ევროკავშირსა და ნატოსკენ. განა ლავროვმა ახლა გაიგო ეს ყველაფერი? საქართველოს მიერ მოპოვებული ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი ბუნებრივი, ნორმალური პოზიციაა და აქ რუსეთის ნერვიულობა საკმარისი არაა“,** – აცხადებს **პაატა ზაქარეიშვილი და მიიჩნევს, რომ არანაირად საშიში არ არის ლავროვის გაფრთხილება. თუ რუსეთი აგრესიულობის გამოვლენას ცდილობს, მაშინ ომი უნდა გამოუცხადოს ევროკავშირის ყველა სახელმწიფოს, რაც აბსურდია.**

ამდენად, ეს ტყუილი მუქარაა ლავროვის მხრიდან, როგორც ეს არაერთხელ ყოფილა. განა რუსები არ იმუქრებოდნენ, ნატოს გაფართოებას არ დავუშვებთო, მაგრამ ფინეთი ვერ გაერთიანდა ნატოში, თუ შვედეთი ვერ ერთიანდება?!

* * *

„მართვის სტრატეგიული ინსტიტუტის“ ხელმძღვანელი **პეტრე მამრაძე** მიიჩნევს, რომ ლავროვის მხრიდან საქართველოს კანდიდატის სტატუსთან დაკავშირებით გამოხმაურება მუქარა არ არის, მაგრამ ეს არის აბსოლუტური ტყუილი, თითქოს რუსეთს სამხრეთ კავკასიიდან ევროკავშირი აძევებს.

**პეტრე მამრაძის შეფასებით, რუსეთმა კატასტროფული მარცხი განიცადა სომხეთსა და ყარაბაღში.**

ყარაბაღის ომის დაწყებისას ერდოღანმა ღიად გამოაცხადა, ჩვენ ვართ ერთი ერი ორ სახელმწიფოში და ჩვენს აზერბაიჯანელ ძმებს არ დავტოვებთ, სამხედრო ძალითაც დავეხმარებით, დიპლომატიურადაც და ყოველმხრივ, რაც განხორციელდა კიდეც, თურქული „ბაირახტარები“ იყო გამოყენებული ამ ომში, თურქეთის მიერ გაწვრთნილი სპეცდანიშნულების რაზმები იბრძოდნენ. შემდეგ უკვე **ზახაროვა** რომ ხელგაშლილი ამბობდა, ჩვენ ლაპარაკი გვინდა ბაქოსთანო, ბაქოს ნაცვლად ზახაროვას პასუხი გასცა ანკარამ.

**„აი, როგორ შეიცვალა გეოპოლიტიკური სურათი სამხრეთ კავკასიაში, ერდოღანმა და ალიევმა ერთად ჩაიბარეს გამარჯვების სამხედრო აღლუმი ბაქოში. ამდენად, რომელ ევროგაერთიანებაზეა საუბარი და რომელ ევროკავშირის მიერ რუსეთის განდევნაზე კავკასიიდან? სომხებმა რამდენი რუსული „ისკანდერიც“გაისროლეს, ან საერთოდ არ გაფრინდა, ან გაფრინდა საპირისპირო მიმართულებით. რუსული იარაღი არ ვარგა. ახლა უკვე ფაშინიანი არ მალავს, რომ რუსეთთან ურთიერთობა აღარ სჭირდება, რადგან არაფერს არ უკეთებს სომხეთს ცუდის გარდა. ამდენად, სად არის სამხრეთ კავკასიაში ევროკავშირი?! თურქეთმა სამხრეთ კავკასიაში დომინირება უკვე აიღო. ამდენად, სომხეთს ურჩევნია თურქეთ-აზერბაიჯანთან ნორმალური ურთიერთობა ჰქონდეს და რაც შეიძლება სწრაფად დაატოვებინოს რუსეთს ბაზები თავის ტერიტორიაზე“,** – აცხადებს **პეტრე მამრაძე** ჩვენთან საუბრისას.

ანალიტიკოსი იხსენებს, რომ პირადად შესწრებია იმ ფაქტს, როცა ევროკავშირს ცოცხალი თავით არ უნდოდა კავკასიაში შემოსვლა და რუსეთთან პრობლემის გაჩენა, ვერც გააგონებდით ამას ევროკავშირს. პეტრე მამრაძე იმის მოწმეცაა, შევარდნაძე რომ ეუბნებოდა რუსულ დელეგაციებს, თქვენ თქვენი პოლიტიკით ახორციელებთ რუსეთის თვითგანდევნას კავკასიიდან და შემდეგ ამას აბრალებთ დასავლეთს, თქვენი პოლიტიკის შედეგად პოსტსაბჭოური ყველა რესპუბლიკა ეხვეწება დასავლეთს, ოღონდ გადამარჩინეთ რუსეთისგან, თორემ ხვალ-ზეგ ისევ ჯარით შემოვა რუსეთიო.

შევარდნაძე იმასაც ეუბნებოდა რუსულ დელეგაციებს, რატომ აკეთებთ ამას, როცა თქვენ ისეთი რესურსი გაქვთ, შეგიძლიათ ახლო ურთიერთობა დაამყაროთ პოსტსაბჭოთა ქვეყნებთან, ყველაზე სასურველი პარტნიორი იყოთო.

**„სამწუხაროდ, რუსებს თავიანთი პოლიტიკის შეცვლა არ შეეძლოთ. სააკაშვილის, ბიძამისის და მათი თანამზრახველების მიერ მოყვანილი რუსული ტანკები, არტილერია, რაკეტები თბილისიდან 30 კილომეტრშია, რუსული ორი ძლიერი ბაზა დგას აფხაზეთსა და ცხინვალში, გარდა ამისა, პუტინის თანაშემწეს მაგიდაზე უდევს ხელმოსაწერად გამზადებული დეკრეტი, რომ დააკმაყოფილოს ე.წ. ცხინვალის პარლამენტის არაერთგზის თხოვნა, რასაც აკლია მხოლოდ პუტინის ხელმოწერა, რომ თითქოს უნდა „აღდგეს ისტორიული სამართლიანობა“ და ე.წ. ყოფილი სამხრეთის რესპუბლიკა შეუერთდეს ჩრდილო ოსეთს.**

**ეს შეიძლება პუტინმა გააკეთოს და მაშინვე დუმამ ასი პროცენტით ხმის მიცემით დაუდასტუროს, როგორც ყირიმის შემთხვევაში მოხდა, ეს ნიშნავს, რომ 30 კილომეტრში მივიღებთ რუსეთის სახელმწიფო საზღვარს. ამ ფონზე პრეზიდენტი ზურაბიშვილი პირდაპირ ურტყამს საქართველოს ეროვნულ უსაფრთხოებას, როცა ამბობს, პუტინი ასეთია, ძინპინი ასეთიო“,** – დასძინა **პეტრე მამრაძემ.**

**მანანა ნოზაძე**

## ვიქტორ ორბანი: უნგრეთმა უნდა უთხრას „არა“ ევროპის ბრიუსელის მოდელს!



**უნგრეთმა უნდა უთხრას „არა“ ევროპის ბრიუსელის მოდელს,** – ამის შესახებ განცხადება უნგრეთის პრემიერ-მინისტრმა, ვიქტორ ორბანმა გააკეთა.

**„ჩვენ უნდა ვთქვათ „არა“, რადგან ის არამდგრადია, მას მომავალი არ აქვს. დარწმუნებული ვარ, რომ დღეს ბრიუსელი ანადგურებს ევროპას“,** – აღნიშნავს უნგრეთის პრემიერ-მინისტრი.

ორბანმა დასძინა, რომ მათ არ უნდა დატოვონ ევროკავშირი, არამედ უნდა შეცვალონ და ეს შესაძლებელი მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება, თუ ბრიუსელში რადიკალური ცვლილებები მოხდება.

**„ჩვენი ამოცანა იქნება ბრიუსელის მხრიდან მცდარი დაპირების გამოსწორება უკრაინასთან ევროკავშირში გაწევრიანების შესახებ მოლაპარაკებების დაწყებასთან დაკავშირებით, რადგან უკრაინა ახლა ევროკავშირისგან ძალიან შორსაა“,** – აღნიშნა ორბანმა.

## უკრაინის ევროკავშირში გაწევრება ევროპის საოჯახო მეურნეობებს ბოლოს მოუღებს

**მას შემდეგ რაც ევროკომისიამ უკრაინასთან ევროკავშირში გაწევრების საკითხზე მოლაპარაკებების დაწყების რეკომენდაცია გასცა, „გერმანიის ფერმერთა ასოციაციის“ (DBV) პრეზიდენტმა იოახიმ რუკვიდმა განაცხადა, რომ უკრაინის ევროკავშირში გაწევრება ევროპის სასოფლო-სამეურნეო სექტორზე ნეგატიურად აისახება და ბოლოს მოუღებს საოჯახო მეურნეობებს,** – ამის შესახებ გამოცემა **Euractiv-ი** წერს.




მისივე თქმით, ეს საკითხი აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული ყველა სახის პოლიტიკური დისკუსიების დროს. რუკვიდმა ასევე ხაზი გაუსვა იმას, რომ უკრაინა ძლიერი სასოფლო-სამეურნეო სახელმწიფოა და საშუალო სტატისტიკური უკრაინული ფერმა რამდენჯერმე აღემატება საშუალო სტატისტიკურ ევროპულ ფერმას.

## მოლდოვის პრეზიდენტის ძაღლმა ავსტრიის პრეზიდენტი დაკბინა

**მოლდოვის პრეზიდენტის, მაია სანდუს ძაღლმა ავსტრიის პრეზიდენტი ალექსანდერ ვან დერ ბელენი დაკბინა.**

ინციდენტი მაშინ მოხდა, როდესაც კიშინიოვში ვიზიტით მყოფმა ვან დერ ბელენმა სამფეხა ძაღლის მოფერება სცადა. მოლდოვური მედიის ინფორმაციით, 79 წლის ავსტრიის პრეზიდენტს ადგილზე პირველადი დახმარება აღმოუჩინეს.



## სამხრეთ კორეის პროკურატურა SAMSUNG-ის ხელმძღვანელისთვის 5-წლიან პატიმრობას ითხოვს

**სამხრეთ კორეის პროკურატურა Samsung Group-ის ხელმძღვანელის ლი ჩჟე იონისთვის 5-წლიან პატიმრობას ითხოვს.**



ლი ჩჟე იონს ბრალად ედება აქციების ფასის ხელოვნური ცვლილება, თაღლითობა და სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, რაც უკავშირდებოდა 2015 წელს Samsung Group-ის ორი შვილობილი კომპანიის, Samsung Cheil Industries Inc-ისა და Samsung C&T Corp-ის შერწყმას. Yonhap-ის ინფორმაციით, კომპანიების შერწყმის დროს კომპანიის, Samsung Cheil Industries Inc-ის ერთი აქციის სანაცვლოდ Samsung C&T Corp-ის სამი აქცია იყო შეთავაზებული, რისი საშუალებითაც ლი ჩჟე იონმა კომპანიის, Samsung Cheil Industries Inc-ზე თავისი კონტროლი გაზარდა, ვინაიდან x/tbk-ში მას 23,2%-იანი წილი ჰქონდა. პროკურორების მტკიცებით, კომპანიის, Samsung Cheil Industries Inc-ის დევალვაციამ ზიანი მიაყენა სხვა ინვესტორების ინტერესებს.




# დაუნდობელი წუთისოფლის სიბრძნე

## წიგნი, რომელიც დროის გამოწვევებს ეხმიანება

**მკითხველ საზოგადოებას მიეწოდა პოლიტიკური, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის, ზუგდიდის მკვიდრის იგორ ქობალიას მემუარული ჟანრის წიგნი – „დროსთან ჭიდილში აღქმული წუთისოფელი“.**

წიგნი ავტორმა მიუძღვნა მეუღლის, ზუგდიდში ცნობილი პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის, აწ უკვე მარადისობაში გადასულ ქალბატონ ციალა სოსელიას ნათელ ხსოვნას.

წიგნში აღნიშნულია კონკრეტული ოჯახის პატიოსნებით გამორჩეული ცხოვრებისა და მიზანდასახული საქმიანობის ლამაზი ისტორია, რომელიც იქმნებოდა ქვეყანაში მიმდინარე საზოგადოებრივი მოვლენებისა და პროცესების ფონზე.

წიგნის ღირსებად მიგვაჩნია ის, რომ მას საფუძვლად უდევს ავტორის მიერ მრავალწლიანი საზოგადოებრივი მოღვაწეობის პერიოდში დაგროვილი რეალური ფაქტები და საინტერესო მოვლენები, კონკრეტულად ქვეყნის ერთ-ერთი უმსხვილესი ადმინისტრაციულ-მმართველობითი ერთეულის (ზუგდიდის რაიონის) ეკონომიკური, სოციალური, კულტურული მშენებლობის, ახალგაზრდა თაობის პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდის სფეროში ჩამოყალიბებული უნიკალური გამოცდილება და საზოგადოებრივი ტენდენციები.

წიგნი პირველივე სტრიქონების გაცნობისთანავე მკითხველში აღძრავს დიდ ინტერესს და პატივისცემით განაწყობს ავტორის მიმართ. წიგნში დამაჯერებლად აღწერილია, თუ როგორ იქცა რიგითი კოლმეურნის ოჯახიდან გამოსული ახალგაზრდა მიზანსწრაფული, მტკიცე ნებისყოფის, ხალხისა და საქვეყნო საქმეებისადმი ერთგულებით ცნობილ სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწედ, სანიმუშო ოჯახის წინამძღოლად, საზოგადოებაში აღიარებულ პატივსაცემ პიროვნებად. ნაშრომში მკაფიოდ ჩანს წიგნის ავტორის, როგორც ლიდერისა და ხელმძღვანელის დიდი ორგანიზატორული ნიჭი, პირადი წვლილი რაიონის სამეურნეო, სოციალურ-კულტურულ აღმშენებლობით პროცესებში, რომელიც ძირითადად მოიცავს გასული საუკუნის 70-80-იან წლებს და ემთხვევა საბჭოთა მილევად პერიოდს და ყველაფერი ეს განხილულია ქვეყანაში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ ტენდენციებთან ლოგიკურ კავშირში.

წიგნში დიდი ადგილი აქვს დათმობილი თანამედროვე პირობებში ზუგდიდის ეკონომიკისა და კულტურული მშენებლობის საკითხებს, გამოწვევებს, რომლებიც პოსტსაბჭოთა პერიოდში წარმოიქმნა და მათ გადაწყვეტაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა ავტორიც.

ავტორი განიხილავს ქართული ოჯახის ფენომენის, ეროვნული ტრადიციებისადმი ერთგულების, უფროსი თაობის ღვაწლის დაფასებისა და პატივისცემის, თაობათა კავშირის ურღვეობის, შვილების მაღალი მორალურ-ზნეობრივი თვისებებით აღზრდის, ურთიერთგაგებასა და სიყვარულზე დაფუძნებული ცოლქმრული ურთიერთობის უაღრესად ფაქიზ, დღევანდელი გლობალიზაციის ეპოქისთვის უდიდეს გამოწვევად ქცეულ საკითხებს. დიახ, შეუძლებელია ავტორს არ დაეთანხმო იმაში, რომ ოჯახი ის ფენომენია, რომელიც გადამწყვეტ როლს ასრულებს ერის თვითმყოფადობის დაცვის, აწმყოსა და მომავალში მისი სულიერი განმტკიცების, ეროვნული იდენტობის შენარჩუნებაში.

ნაშრომში ერთ-ერთი მთავარი თემაა - ახალგაზრდობის აღზრდის პრობლემები. ქვეყნის სოციალურ-კულტურული მშენებლობის პროცესების პარალელურად კარგად არის წარმოდგენილი მიდგომები, რომლებიც გამოიყენებოდა ახალგაზრდა თაობის ეროვნულ-პატრიოტული სულისკვეთებით, მორალურ-ზნეობრივი თვისებებით აღზრდაში. ავტორი ასახელებს ქართველი და აფხაზი ახალგაზრდობის მეგობრობისა და ძმობის სოფელ რუხში ტრადიციულ, ეტალონად ქცეულ მაგალითებს.

შეუძლებელია ემოციების გარეშე წაიკითხო წიგნის ის ფურცლები, სადაც ავტორი მიმართავს თანამემამულეებს. მიმართვის ტექსტი გაჟღენთილია ცხოვრებისეული სიბრძნით, გამოცდილებით და როგორც შეგონებანი ქადაგებენ: ქრისტიანული ცხოვრების წესით ცხოვრებასა და ღვაწლს; წინაპრების არ დავიწყებას, მათი ხსოვნისადმი პატივმიგებას; შრომის, სწავლის, ცოდნის წყურვილს, საქმისადმი კეთილსინდისიერ დამოკიდებულებას, საკუთარი თავის და არა სხვის იმედად ყოფნას; ოჯახის ფენომენის გათავისებას, ჯანსაღ მორალურ პრინციპებზე, ურთიერთპატივისცემასა და სიყვარულზე დაფუძნებული ცოლქმრული ურთიერთობის ჩამოყალიბებას; ღვთისა და მოყვასის სიყვარულს, სამართლიანობას, კაცთმოყვარეობას, მიმტევებლობას, მორალურ და ზნეობრივ სიმტკიცეს.

მკითხველისადმი მიმართვაში არის სხვა საყურადღებო და საინტერესო საკითხებიც, რომლებიც პოზიტიურ კონტექსტში აღიქმება.

გვჯერა, რომ საზოგადოება ობიექტურად, მიუკერძოებლად შეაფასებს წინამდებარე წიგნის ღირსებას, მის საზოგადოებრივ მნიშვნელობას. ავტორის სულისკვეთებას გამოხატავს მისივე სიტყვები „მწამს ზეციური საქართველოსი, ჩვენგან ადრე წასული საყვარელი მეგობრების და საპატივცემულო ადამიანების სულის მარადისობისა, რომლებიც იყვნენ ცოცხალი მაგალითები, თუ როგორ უნდა გიყვარდეს შენი ქვეყანა და ხალხი, იშრომო და იღვაწო ერის კეთილდღეობისთვის“.

ავტორის მეგობრები ვამაყობთ, რომ იგი დღესაც, 80 წელს გადაცილებული კაცი, ცხოვრების წესით, მშობლიური მიწა-წყლისადმი დამოკიდებულებით, ეროვნული ტრადიციების მიმართ ერთგულებით, კვლავაც სანიმუშო მაგალითია საზოგადოებისთვის.

**საზოგადოება ზუგდიდელის სახელით**

**ბონდო ჯიქია, ვაჟა ფიფია, მურთაზ ბოკუჩავა.**






**„გამომყევი აჭარაში“ ფრიად პოპულარული გახდა!**

**„გამომყევი აჭარაში“ კამპანიამ სოციალურ ქსელებში 100 მილიონზე მეტი წვდომა დააგროვა. კამპანიის მთავარი პრიზების გამარჯვებულები ბათუმში დაჯილდოვდნენ. პირველი ადგილი ქუთაისელმა ქუჩის ფოტოგრაფმა დავით ოქროპირაშვილმა მოიპოვა.**

ორი თვის განმავლობაში მის მიერ აჭარაში მოგზაურობაზე გამოქვეყნებულმა კონტენტმა 32, 722, 801 წვდომა შეადგინა. მეორე ადგილი ინფლუენსერმა სალი წვერავამ დაიკავა. მესამე ადგილზე ტიკტოკ ინფლუენსერი ნათია კახიძე გავიდა. გამარჯვება ასევე მოიპოვეს მოგზაურ-ინფლუენსერებმა ტიტე მიქაძემ, ზურა გელაშვილმა და ფუდბლოგერმა ანა მითაიშვილმა.

## მკითხველი და გაზეთი

# გვეხმაურებიან

**„საქართველოს რესპუბლიკის“ 16 ნოემბრის ნომერში დაიბეჭდა მეტად მნიშვნელოვანი წერილი თეა თოფურიასი „მეგრული და სვანური ენები ონლაინ“. მიმაჩნია, რომ საკითხი უაქტუალურესია და მას ყურადღება უნდა მიექცეს. აღნიშნულის თაობაზე ჯერ კიდევ 1994 წელს მივუთითებდი. იმხანად გამოვიდა მცირე ამონარიდები მეგრული პოეტური სიტყვიერებიდან. წინასიტყვაობა მე დავწერე.**

**გთავაზობთ ამ წინათქმას, რომელსაც, დღეს რომ დასაწერი მქონდეს, ზუსტად ისე დავწერდი, როგორც ამ 29 წლის წინათ დამიწერია:**

### წინათქმა

არის რაღაც სიმბოლური იმაში, რომ ქართველთა მოდგმას სამი ენა მოგვანიჭა უფალმა: ქართული, მეგრული, სვანური. ესეც ჩვენებურ სიმღერასა ჰგავს – პირველ და მეორე ხმებს რომ ბანი აგვირგვინებს. ეს წმინდა ტრიადა ჩვენი ეროვნული სიმდიდრეა. ესეც უდავოა: მათ შორის ნებისმიერი ერთი უდანარჩენებოდ ჰარმონიული მთელის მხოლოდ ნაწილს შეიძლება წარმოადგენდეს.




თუმცა დამწერლობა მხოლოდ ერთი გვაქვს, აქაც რაღაც ზებუნებრივი მჭვირვალებს: ქრისტიანული ღმერთიც ერთარსებაა, ოღონდ – სამსახოვანი, ხოლო ქართველი ის კი არ არის, ვინც მარტოოდენ ქართული გვარის მატარებელია, არც ამ ენაზე მოლაპარაკე ადამიანი. ქართველი უმალ ქართული ცნობიერებაა, ზოგადეროვნული სულისკვეთების ქონაა; იგი, როგორც ჩვენთა ძველთა უთქვამთ, „სულითა ხოლო საცნაურ არს“.

ქართული ეროვნული სულიერი ენერგია დაუნჯებულია არა მხოლოდ ქართულ, არამედ დანარჩენ ქართველურ ენებშიც. ჩვენი ისტორიული წარსული, მისი ფერი და მუსიკა, ნამყო დროის დანაშრევები ერთობ ჭარბად არის შემორჩენილი სწორედ ამ ენებში, როგორც გადანახული რამ საგანძური.

წინაპართა საკადრისი შთამომავალნი რომ აღვზარდოთ, ზანურსა (მეგრულ-ლაზურს) და სვანურს სკოლაშივე უნდა ვასწავლიდეთ. ,,დედაენაში“ თუ ვერ ჩავრთეთ ხმატკბილი და მელოდიური მეგრული, ფოლადივით მრეკავი სვანური, მაღალ კლასებში მაინც უნდა შევიძლოთ ეს. ვფიქრობ, უნდა ვეზიაროთ არა მარტო ჩვენი მეტყველების დედამდინარის – ქართულის – მშვენებას, არამედ უნდა მივუახლოვდეთ ჩვენი დედამდინარიდან განტოტვილ სამეტყველო შენაკადებს და მათი საამო რონინიც მშობლიურად გავიხადოთ.

კინოხელოვნებაში ამისი კეთილი მაგალითი კიდეცა გვაქვს. ამ მხრივ „პასტორალი“ პირველი გაუხუნარი სიტყვაა. იგი გვაახლოებს ჩვენს ისტორიულ ძირებთან და, ალბათ, უფრო მეტადაც, ვიდრე ათასი ლოზუნგი და ტრანსპარანტი. ამ პაწაწა წიგნს მეგრული პოეზიის სურნელი და ზეპირმეტყველების მადლი ამშვენებს.



**მივიდეთ ამ სილამაზესთან ახლოს, გასახარად ჩვენდა!**

**მურმან თავდიშვილი**





ტატამზე

# როგორც ველოდით...

**პოტსდამში (გერმანია) გამართულ 23-წლამდელ ძიუდოისტთა ევროპის ჩემპიონატზე წარმატებით იასპარეზა საქართველოს ნაკრებმა, რომელმაც 5 მედალი მოიპოვა და საქმე ქართულ ფინალამდეც მივიდა.**

ქართული ფინალი მძიმე წონაში შედგა – საბა ინანეიშვილმა ირაკლი დემეტრაშვილთან წმინდა გამარჯვების შემდეგ ჩემპიონატი საქართველოს ჰიმნით დახურა. მანამდე ჩემპიონობა მოიხვეჭა ზაურ დვალაშვილმა (81 კგ), რომელმაც ფინალამდე 4 შეხვედრა მოიგო, ოქროს მედლისთვის ბრძოლაში კი იპონით დაამარცხა ბელგიელი იარნე დიუკი.

ბრინჯაოს მედალი მოიპოვა კოტე კაპანაძემ (73 კგ) – გადამწყვეტ შეხვედრაში უკრაინელ ევჰენი ონჩარკოს იპონით აჯობა.

ოქროს მედალთან ახლოს იყო გოგონათა ნაკრების წევრი ნინო ლოლაძე (57 კგ), რომელმაც ფინალამდე 3 შეხვედრა მოიგო, მაგრამ საჩემპიონო შეხვედრაში ნიდერლანდელ ელინ ჰენინგერთან დამარცხდა და ვერცხლის მედალი მიიღო.

საქართველოს ნაკრებმა 2 ოქროს, 2 ვერცხლის და 1 ბრინჯაოს მედლით 37 ქვეყანას შორის გოგონათა და ვაჟთა საერთო ჩათვლაში გუნდური მეორე ადგილი დაიკავა, ვაჟთა შორის კი – პირველი.

რატომაც არა?

# იდეალური კანდიდატი



**მას შემდეგ, რაც წარუმატებელი ფრანგული მსოფლიო თასის შემდეგ ლევან მაისაშვილმა ბორჯღალოსანთა თავკაცის პოსტი დატოვა, აქტიურად განიხილება მისი შესაძლო შემცვლელის კანდიდატურები და მათ შორის ერთ-ერთ ვარიანტად 63 წლის გამოჩენილი ავსტრალიელი სპეციალისტის ედი ჯონსის ვინაობამაც გაიჟღერა. თუ მან იაპონიასთან ან პორტუგალიასთან კონკურენციაში უპირატესობა ჩვენ მოგვანიჭა, კლოდ სორელისა და მილტონ ჰეიგის გაკვალულ ბილიკს უკვე მესამე უცხოელი მთავარი მწვრთნელით შევუყვებით, თუმცა ისიც სათქმელია, რომ წლევანდელი ფორუმი მწვანე კონტინენტის წარმომადგენელთა დამრიგებლის ამპლუაში მანაც ჩააგდო.**

შეგახსენებთ, რომ ედი ჯონსმა თავისი ქვეყნისა და ინ:გლისის ნაკრებები პლანეტის პირველობის ფინალებში ათამაშა, რაგბის სამშობლოს კი 6 ერი სამჯერ მოაგებინა, ხოლო 2017-ში წლის საუკეთესო მწვრთნელად აღიარეს.

აღსანიშნავია, რომ მის უმდიდრეს გამოცდილებას აზიაში ნაყოფიერი მოღვაწეობაც ამშვენებს, სადაც ორჯერ კარიერის განმავლობაში ავარჯიშებდა საკურებს. სხვათა შორის, ქართველებთანაც აკავშირებს პროფესიული მოსაგონარი, რადგან სწორედ მისი ინიციატივით მოეწყო ახლო წარსულში ინგლისელთა და ბორჯღალოსანთა ერთობლივი წვრთნები. ასე რომ...

დასასრულს, გთავაზობთ ამონარიდს ჩვენთვის საინტერესო თემაზე ერთ-ერთ პოპულარულ სარაგბო გამოცემაში გამოქვეყნებული სტატიიდან: **„თუ იაპონური ვარიანტი გამოირიცხება, ჯონსმა კარიერა შეიძლება ევროპაში გააგრძელოს, მით უმეტეს მაშინ, რომ იგი თავად ამბობდა – ევროპაში არის ერთი გუნდი, რომელიც მისით ინტერესდება. უცნობია, კონკრეტულად ვის გულისხმობდა, თუმცა, საქართველოს ნაკრები ერთ-ერთ ფავორიტად მიიჩნევა.**

**...თანაც, გასათვალისწინებელია, რომ ქართულ რაგბის შარშან ისტორიაში საუკეთესო სეზონი ჰქონდა და შთამბეჭდავად დაამარცხა პირველი დონის მეტოქეები – იტალია და უელსი, რაგბი ევროპის ჩემპიონატი კი ზედიზედ 5-ჯერ მოიგო.**

**მოკლედ, წლევანდელი წარუმატებლობის შემდეგ პროგრესის გზაზე დასაბრუნებლად ედი ჯონსი იდეალური კანდიდატია.“**

მწვანე კონტინენტის სარაგბო სკოლის თვალსაჩინო ფიგურას რომ საქართველოში ჩამოსვლის შემთხვევაში ნოყიერი ნიადაგი ელის, უმცროს ბორჯღალოსანთა მიერ 18-წლამდელთა ევროპის ჩეპიონატზე ზედიზედ მეხუთე ტრიუმფიც მოწმობს – ფინალში ნიდერლანდები 19:3 დასცეს.

მნიშვნელოვანი წარმატება მოიპოვა პირველმა ქართულმა ფრანჩაიზმა შავმა ლომმაც, რომელმაც კვიპროსის ქალაქ ლარნაკას კოკისპირული წვიმით დატბორილ სტადიონზე ევროპის სუპერთასის ლიდერთა მთავარ მატჩში 29:27 სძლია ისრაელის თელ-ავივ ჰითს და ერთპიროვნულად დაწინაურდა სატურნირო ცხრილში.



ფინიშზე

# მარტის პრიზმაში

**ევრო-2024-ის საკვალიფიკაციო რაუნდი უკვე ისტორიის კუთვნილებაა, თუმცა მომავალი წლის გერმანული ფორუმის საგზურისთვის ბრძოლას ისევ ვაგრძელებთ და გაისად გაზაფხულზე გაირკვევა, შევძლებთ თუ არა უმაღლესი რანგის კონტინენტურ ტურნირზე პირველად თამაშს. უკვე ცნობილია, რომ ერთა თასის ეგიდით 21 მარტს ნახევარფინალში ლუქსემბურგს ვუმასპინძლებთ, ხოლო სად შევხვდებით 26 მარტს სანუკვარი ოცნების ასასრულებელ გადამწყვეტ მატჩში ყაზახეთ-საბერძნეთის წყვილში გამარჯვებულს, ამ დღეებში დანიშნული წილისყრის შემდეგ შევიტყობთ.**

წლევანდელი შესარჩევი ციკლის საშინაო ნაწილი ერთი შეხედვით უმოტივაციო შოტლანდიასთან დავხურეთ, რომელმაც, მართალია, ვადამდე გაინაღდა ზედიზედ მეორედ, სულ კი მესამედ ძველი სამყაროს რჩეულთა შორის გამოსვლა, მაგრამ ჯგუფში პირველი ადგილის დაკავებას მაინც ლამობდა. საილუსტრაციოდ თბილისში მრავალრიცხოვან ტურისტთა დესანტის გადმოსხმის დასახელებაც კმარა. აღარაფერს ვამბობთ რამდენიმე წამყვანი მოთამაშის არყოფნის მიუხედავად გუნდის ახალ ლიდერ მაკტომინეის ჩამოსვლაზე, რომელმაც ძველ ბომბარდირთა რეკორდი გაიმეორა და ერთ საკვალიფიკაციო რაუნდში მე-7 ბურთი გაიტანა.

არანაკლებ გასათვალისწინებელია ძველი ანგარიშებიც, რადგან დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ერთ ევროპულ შესარჩევ ჯგუფში უკვე მესამედ მოვხვდით ერთად და ყოველი გუნდი აქამდე საკუთარ მოედანზე უდანაკარგოდ თამაშობდა, თანაც 2013 წელს სტუმრები საერთოდ ფინალურ ტურნირს მიღმა დავტოვეთ, ხოლო წლეულს პირველ წრეში გლაზგოში გაჩაღებული წყალბურთი დასანანად დავთმეთ.

**საქართველო – შოტლანდია 2:2**
**პირველი ტაიმი 1:0**

**საქართველო:** მამარდაშვილი, კაკაბაძე, კვირკველია, კაშია, ლოჩოშვილი (კალანდაძე), შენგელია (აზაროვი), ჩაკვეტაძე (დავითაშვილი), კვეკვესკირი (მექვაბიშვილი), ქოჩორაშვილი, კვარაცხელია, მიქაუტაძე (ზივზივაძე).

**გოლები:** კვარაცხელია (2), მაკტოინეი, შანკლენდი.

სეზონის აღმოჩენასთან თითქმის მოგებული ბრძოლა ოპტიმიზმით განგვაწყობს, რომ, ბოლოსდაბოლოს, ჩვენს ქუჩაზეც მოვა გაზაფხული. დიახ, ძნელია არ შეამჩნიო კვარაცხელია-ჩაკვეტაძის მრისხანე დუეტის მიერ მომავალში დასადგმელი სპექტაკლების კონტურები ან ქოჩორაშვილისა თუ ლოჩოშვილის პროგრესი, მაგრამ სხვა ტრადიციულ ლაფსუსებთან ერთად ისევ სახეზეა ბოლო წუთების სინდრომი, როცა საკუთარ ნახევარზე ფეხ;ები გვებორკება და სიმწრით მოპოვებულ უპირატესობას ვფლანგავთ.

**კვიპროსი – ესპანეთი** 1:3. სამწუხაროდ, თემურ ქეცბაიას გაწვრთნილმა კუნძულელებმა ციკლი უქულოდ დაასრულეს.

ზემოთნახსენებ ოპტიმიზმს 21-წლამდელები კიდევ უფრო საფუძვლიანს ხდიან, დასტურად კი **რამაზ სვანაძის** შეგირდთა მორიგი წარმატება გამოდგება.

**ჩრდ. მაკედონია – საქართველო 0:1**
**პირველი ტაიმი 0:0**

**საქართველო:** ხარატიშვილი, მაისურაძე, საზონოვი, ხვადაგიანი, მამაცაშვილი, აბუაშვილი (ეგოიანი), გაგნიძე, ლომინაძე (ოსიყმაშვილი), ოდიშარია (ოგბაიძე), კვერნაძე, ოთარ მამაგეიშვილი (გიზო მამაგეიშვილი).

აღსანიშნავია, რომ ფეხბურთის გარდა მასპინძლებს ომიც მოვუგეთ, რადგან ბრძოლაში, რომელიც 12(!) ყვითელი ბარათითა და 2 გაძევებით დასრულდა, მნიშვნელოვანი ქულები მოვიპოვეთ და ევრო 2025-ის საკვალიფიკაციო ეტაპის ჯგუფში წლეულს 10 ქულითა და მეორე ადგილით დავსვით ღირსეული წერტილი.

ნოყიერი კვირის მიწურულს არანაკლებ გაგვახარეს ვასილ მაისურაძის ნავარჯიშევმა 19-წლამდელებმა, რომლებმაც თბილისში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე ზედიზედ ორი გამარჯვება მოიპოვეს კვიპროსთან – 2:0 (ბერელიძე, ლორთქიფანიძე) და მოლდოვასთან – 2:1 (შეროზია – 2) და ფავორიტ ესპანეთის მსგავსად 6 ქულით ვადამდე გაინაღდეს ელიტ-რაუნდის საგზური. პირენეელებმა იმავე მეტოქეებს შესაბამისად 2:0 და 5:0 სძლიეს, ჩვენთან დასკვნით მატჩში კი პირველი ადგილის დასაკავებლად ფრეც აწყობთ.



ლეგიონერი

# თანაბარ ბალანსზე




**„ლენოვო ტენერიფემ“ ესპანეთის ლიგა ენდესას მეათე ტურში „პალენსიია“ ადვილად – 92:71 დაამარცხა და მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა. გიორგი შერმადინმა პარკეტზე 22 წუთი გაატარა, ხსენებულ დროში კი 14 ქულა, 5 მოხსნა და 2 პასი მიითვალა. ქართველმა ცენტრმა 9–დან 7 ორქულიანი ჩააგდო, 3 საჯარიმო კი ააცილა.**

„ლენოვო ტენერიფე“ 5 მოგებით და 5 წაგებით სატურნირო ცხრილში მერვე ადგილზეა, მომდევნო შეხვედრას კი 26 ნოემბერს სტუმრად „გრან კანარიასთან“ ჩაატარებს.

# იაპონელი მისუძუ კანეკოს პოეზიის მადლი საქართველოსაც მოეფინა...

**საქართველოს კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით გამოცემული ცნობილი იაპონელი პოეტი ქალის, მისუძუ კანეკოს, ლექსების ქართული თარგმანების კრებულის პრეზენტაცია მწერალთა სახლში გაიმართა.**

მათივე ინფორმაციით, პრეზენტაციას საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანი, იაპონიის ელჩი საქართველოში ჰიდეკი იშიძუკა, ენათმეცნიერი და მთარგმნელი იასუჰირო კოჯიმა ესწრებოდნენ.



დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართეს მწერალთა სახლის დირექტორმა ქეთი დუმბაძემ და იაპონიის ელჩმა საქართველოში ჰიდეკი იშიძუკამ.

**„იაპონური ექო“ მისუძუ კანეკოს დაკარგული ლექსების კრებულია, რომელიც იაპონელი პოეტი ქალის ცხოვრებასა და შემოქმედებას ეძღვნება. წელს მისუძუ კანეკოს (1903-1930) დაბადებიდან 120 წელი გავიდა. ქართული მე-14 ენაა მსოფლიოში, რომელზეც მისუძუ კანეკოს ლექსები ითარგმნა და გამოიცა. ლექსები ქართულ ენაზე მარიამ წიკლაურმა თარგმნა. წიგნის რედაქტორი და კონსულტანტია იასუჰირო კოჯიმა ელზა ნაზახტეველთან ერთად. პროექტი საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ხელშეწყობით დაისტამბა გამომცემლობაში Cezanne Publishing. პროექტის ხელმძღვანელია მანანა კარტოზია, გამომცემელი – შორენა შავერდაშვილი.**

წელს პოეტის შემოქმედებას, მისი ლექსების თარგმანებსა და ბიოგრაფიას არაერთი პუბლიკაცია მიეძღვნა ქართულ სალიტერატურო სივრცეში. იაპონელი პოეტის შესახებ მარიამ წიკლაურის პუბლიკაციები დაიბეჭდა კულტურის სამინისტროს ჟურნალში „კულტურა პლიუსი“ (რედაქტორი რეზო იუკურიძე), „ლიტერატურულ გაზეთში“ (რედაქტორი ირაკლი ჯავახაძე) და საყმაწვილო ჟურნალში „იალქანი“ (რედაქტორი ნანა ჭანტურია).

**წიგნში 42 ლექსია. გამოცემა ორენოვანია – ქართულ-იაპონური და ახლავს მისუძუ კანეკოს აღმომჩენისა და მკვლევრის, იაპონელი პოეტის, სეცუო იაძაკის, წიგნის რედაქტორის მისალმება ქართველი მკითხველისადმი, იასიჰურო კოჯიმას წარდგენა, გამომცემლის, შორენა შავერდაშვილის, წინასიტყვაობა და მთარგმნელ მარიამ წიკლაურის წერილი პოეტის შემოქმედებაზე. პოეტის ცხოვრებაზე მოგვითხრობს ამერიკელი მთარგმნელი და გამომცემელი დევიდ იაკობსონი. წიგნის ერთი ნაწილი მხატვრულად გააფორმეს ახალგაზრდა მხატვარმა, 12 წლის ანა აბულაძემ და არტრედაქტორმა ზესიკ დანელიამ.**

ღონისძიებაზე ასევე გაიმართა თეონა ნაცვლიშვილის წიგნის „საკურა“ პრეზენტაცია. წიგნში იაპონია და მისი კულტურა წარმოჩენილია საკურას აღწერით. თეონა ნაცვლიშვილი წიგნის ავტორი და დიზაინერიცაა, რის გამოც, ტექსტი და ილუსტრაციები ერთ მთლიანობად აღიქმება. „საკურა“ 2021 წელს გამოიცა. იდეის ავტორი და პროექტის ხელმძღვანელია მანანა კარტოზია, წიგნი დაისტამბა გამომცემლობაში „სეზანი“.

# გულიკო დავლიანიძე-გურგენიძისა



**თითქოს გული უგრძნობდათ მის მშობლებსა და ნათლიებს, როცა ჩვილ ახალშობილს გულიკო დაარქვეს.**

**ხომ იცით – შემთხვევით ბუნებაში არფერი ხდება და გულიკო დავლიანიძე-გურგენიძისამ ჩვენს დიდ სანათესაოში თითქმის ნახევარი საუკუნის წინათ ფეხის შემოდგმიდან ოჯახის ღირსეულ დედაბოძობასთან ერთად ირგვლივ უშურველად აფრქვია ადამიანური მადლი, სიკეთე და გულის სითბო.**

**ძვირფასი ქალბატონის სულიერი სიმტკიცე განსაკუთრებით მას შემდეგ დავაფასეთ, რაც რობიზონ გურგენიძის ნაადრევი დაკარგვის მიუხედავად ხოტეველთა სამაგალითო ფრთამოტეხილი შხივანელი რძალი ჩვეული რუდუნებით გვიფრთხილდებოდა თითოეულ მოყვასს და უვლიდა საფიცარი მეუღლის საფლავს.**

**არსთა გამრიგემ ისე ინება, რომ მისი სათუთი გულის ძგერა გიორგობის ბრწყინვალე დღესასწაულის წინა დღეებში შეწყდა და ამიერიდან მონატრებულ რჩეულს შეუერთდება.**

**ნათელი და სანთელი, საყვარელო ბიცოლა!**

**დავით და მარინა**
**გურგენიძეების ოჯახი**

**გივი შუღაროვი ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა უახლოესი მეგობარი, სამაგალითო პიროვნება**

# ვახო ლომაძე

**და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

# თეა წულუკიანი კასპში, ქარელსა და გორში ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის სალოტბარო სკოლებში იმყოფებოდა

**კასპში, ქარელსა და გორში ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის სალოტბარო სკოლებში კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანი იმყოფებოდა.**

თეა წულუკიანი მოსწავლეებსა და სკოლის წარმომადგენლებს შეხვდა და მათ ქართული ფოლკლორის პოპულარიზაციაში შეტანილი წვლილისთვის მადლობა გადაუხადა. შეგახსენებთ კულტურის სამინისტროს ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება ქართული ფოლკლორის მხარდაჭერა და მისი განვითარების ხელშეწყობაა.

# სეზონური გრიპის საწინააღმდეგო უფასო ვაქცინაცია გრძელდება!

**სეზონური გრიპის საწინააღმდეგო უფასო ვაქცინაცია გრძელდება – იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, მსურველებს, შესაძლებლობა აქვთ, ვაქცინა, ქვეყნის მასშტაბით, გაიკეთონ.**

პირველ ეტაპზე, უფასო ვაქცინაცია იმ ჯგუფებს ჩაუტარდათ, ვისაც დაავადების გართულების მომატებული რისკი აქვს. პროგრამა გაფართოვდა და უფასოდ, სეზონური გრიპის საწინააღმდეგო აცრის შესაძლებლობა იმ პირებსაც აქვთ, რომლებიც რისკ ჯგუფებში არ შედიან. ჯანდაცვის სამინისტრომ, იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამისთვის, 200 000 დოზა, Abbott Biologicals B.V.-ის წარმოების, ოთხ-კომპონენტიანი ვაქცინა შეიძინა, რომელიც ერთ-ერთია ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ რეკომენდებულთა შორის და მორგებულია იმ შტამებზე, რომელთა ცირკულაცია მოსალოდნელია გრიპის სეზონზე.

ვაქცინაცია სერვისის მიმწოდებელ ნებისმიერ სამედიცინო დაწესებულებაში შესაძლებელია, 6 თვის ასაკიდან და ბენეფიციარებისთვის სრულად უფასოა.

# სტამბოლში საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლობის ადგილმდებარეობა ნაპოვნია!



**დიდი ხნის კვლევა-ძიების შემდეგ საბოლოოდ დავადგინეთ სტამბოლში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიური წარმომადგენლობის ადგილმდებარეობა,** – ამის შესახებ თურქეთში საქართველოს ელჩი **გიორგი ჯანჯღავა** სოციალურ ქსელში წერს.

როგორც ჯანჯღავა აღნიშნავს, „ამჟამად ვიწყებთ კონსულტაციებს თურქულ მხარესთან, რათა აღნიშნულ შენობაზე განთავსდეს შესაბამისი აბრა რამდენიმე ენაზე“.

„ძვირფასო მეგობრებო, მსურს გაგიზიაროთ მორიგი სასიხარულო და საინტერესო ინფორმაცია: დიდი ხნის კვლევა-ძიების შემდეგ საბოლოოდ დავადგინეთ სტამბოლში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიური წარმომადგენლობის ადგილმდებარეობა.

როგორც ფართო საზოგადოებისთვისაა ცნობილი, 1919 წლის დასაწყისში სტამბოლში ჩვენი პირველი წარმომადგენლობა განთავსდა სასტუმროში Pera Palace (წარმომადგენლად მოკავშირეთა არმიის სარდლობასთან და ოსმალეთის მთავრობასთან დაინიშნა გრიგოლ რცხილაძე). იმავე წლის განმავლობაში მისიამ მდებარეობა რამდენჯერმე შეიცვალა. ხოლო 1919 წლის მიწურულიდან 1921 წლის ბოლომდე საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობა განთავსებული იყო სტამბოლის ბეიოღლუს რაიონის, პერას უბანში, კერძოდ, საქსის ქუჩაზე (Rue Saksi №14) და სწორედ ამ შენობაში დაჰყო ყველაზე ხანგრძლივად. აღსანიშნავია, რომ წარმომადგენლობასთან აგრეთვე ფუნქციონირებდა საკონსულო, კონსულ იოსებ გოგოლაშვილის ხელმძღვანელობით. მოგვიანებით, ჩვენმა მისიამ გადაინაცვლა შიშლიში, ფერიქოის ქართული კათოლიკური ეკლესიის მახლობლად (1921-24 წლებში სტამბოლში საქართველოს მთავრობის რწმუნებული იყო კონსტანტინე გვარჯალაძე).

წლებთან ერთად, რასაკვირველია, შეიცვალა სტამბოლის ქუჩების სახელწოდებები და ასევე, შენობების ნუმერაცია. კვლევისას,გავეცანით სხვადასხვა საარქივო მასალასა და ძველ თუ ახალ რუკებს. აქვე, მსურს, ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო ჩვენს მეგობარსა და მკვლევარს Emir Fidan-ს, გარკვეული დეტალების დაზუსტებაში გაწეული დახმარებისთვის.

ამჟამად ვიწყებთ კონსულტაციებს თურქულ მხარესთან, რათა აღნიშნულ შენობაზე განთავსდეს შესაბამისი აბრა რამდენიმე ენაზე“.

# ხელოვნურმა ინტელექტმა ამინდის პროგნოზის ტრადიციულ მოდელებს სიზუსტეში პირველად აჯობა

**ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებულმა ამინდის პროგნოზის მოდელმა Ghfg/xfcn პროგნოზების არსებულ მოდელებს სიზუსტეში პირველად აჯობა,** – ამის შესახებ BBC წერს.

გამოცემის ინფორმაციით, GraphCast-ი Google DeepMind-ის მეცნიერების არის შექმნილი. ტრადიციული მეთოდებისგან განსხვავებით, ეს მოდელი ისტორიულ მონაცემებს სწავლობს და მათში არააშკარა კანონზომიერებების აღმოჩენა შეუძლია. ამის გამო, მისი პროგნოზები უფრო ზუსტია.

**მსოფლიოში ამინდის პროგნოზირების ერთ-ერთ ყველაზე ზუსტ სისტემად High RESolution forecast (HRES) ითვლება, რომელსაც ამინდის პროგნოზების ევროპული ცენტრი იყენებს. ეს სისტემა ე.წ. „რიცხობრივ პროგნოზს“ იყენებს, რაც სუპერკომპიუტერების მიერ სხვადასხვა მეტეოროლოგიური მონაცემების შემცველი განტოლებების ამოხსნას გულისხმობს. თუმცა, ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული მოდელისგან განსხვავებით, HRES-ს დამოუკიდებლად „სწავლა“ არ შეუძლია, თანაც, სუპერკომპიუტერების გამოყენება ბევრ რესურსს მოითხოვს.**

გუშინდელი ფოსტიდან



# ქართველ მკურნალ-პროფესორთა ფასდაუდებელი ღვაწლი

## ეძღვნება ამირან გამყრელიძეს, ზაზა ავალიანს, რამაზ ყურაშვილს, გიორგი მანაგაძეს და სხვებს

ექიმთა პროფესია ხელოვანთა შორის ყველაზე რთული და საპატიოა. მწვავე დაავადებები და პანდემიები განაჩენია ღმერთების მიერ მოვლენილი, რომლებთანაც შებრძოლება და დამარცხება მხოლოდ ექიმს შეუძლია.

კოლხი მედეას შთამომავალმა ექიმებმა მრისხანე ბუნების, იგივე ღმერთების სურვილი ადამიანების განადგურების შესახებ არად ჩააგდეს, თავი ღმერთებს გაუტოლეს, თანამედროვე მკურნალობის ძალით მილიონობით ადამიანი გამოსტაცეს სიკვდილს და მეორედ დაბადება არგუნეს გაუბედურებულებს!

ექიმები დატანჯულების ხილვით ხომ თავად იტანჯებიან, ვიდრე ავადმყოფს სიცოცხლეს დაუბრუნებენ.

დღეისთვის ათასობით და მილიონობით ექიმების მიერ გადარჩენილი ადამიანი დადის დედამიწაზე, საქართველოშიც! ნუთუ ექიმმა მუდმივად ღმერთს შენდობა უნდა სთხოვოს იმისთვის, რომ უფლის სურვილს წინ აღუდგა? გადარჩენილებს შორის, თუ არიან ისეთებიც ვისაც თვით ექიმების გადარჩენა შეუძლიათ? ექიმთა ტანჯვისთვის, რამენაირი საზღაური თუ არსებობს შესადარისი? სნეულთა გადარჩენისთვის ექიმები ღმერთებს უტოლდებიან.

პატივი ვცეთ ექიმებს, ღირსეულად დავაფასოთ!

უმადურობა უდიდესი ცოდვაა!

ათასობით თაყვანისმცემელთა სახელით
**ვაჟა ქურდიანი**

# ქართული კულტურის ცენტრი მდინარე იორდანეზე

**საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით იორდანიის ჰაშიმიტურ სამეფოში, მდინარე იორდანეზე, მაცხოვრის ნათლობის ადგილის მიმდებარედ, ქართული კულტურის ცენტრის დასაარსებლად შექმნილი სამთავრობო კომისიის მორიგი სხდომა გაიმართა.**



მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ სხდომაზე მდინარე იორდანეზე ქართული კულტურის ცენტრის მშენებლობის პროექტი დაამტკიცეს. აღინიშნა, რომ მიმდინარეობს სამშენებლო კომპანიის შერჩევა. მთავრობის მეთაურმა მინისტრებს კონკრეტული დავალებები მისცა.

მდინარე იორდანეზე ქართული კულტურის ცენტრის დასაარსებლად სამთავრობო კომისიის სხდომას ვიცე-პრემიერი, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი **თეა წულუკიანი,** ვიცე-პრემიერი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი **ლევან დავითაშვილი,** განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **გიორგი ამილახვარი,** საგარეო საქმეთა მინისტრი **ილია დარჩიაშვილი,** ფინანსთა მინისტრი **ლაშა ხუციშვილი,** მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი **რევაზ ჯაველიძე;** საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე **ვლადიმერ კონსტანტინიდი,** ალავერდელი მიტროპოლიტი **დავითი** (მახარაძე), ზუგდიდისა და ცაიშის მიტროპოლიტი **გერასიმე** (შარაშენიძე) და საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი, დეკანოზი **ანდრია ჯაღმაიძე** ესწრებოდნენ.

# სილამაზის კონკურსი სტანდარტებს არღვევს



**წლევანდელ სილამაზის კონკურსზე „მის სამყარო“ პირველად მიიღო მონაწილეობა ჭარბწონიანმა ქალმა და ასევე ორმა გათხოვილმა ქალბატონმა,შვილებით.**

დედოფლის გვირგვინისთვის 23 წლის ჯეინ დიპიკა გარეტი ნეპალიდან იბრძოდა. მისი სიმაღლე 170 სანტიმეტრია და 80 კილოგრამზე მეტს იწონის. **„მე აქ ვარ, რათა წარმოვადგინო კოხტა ქალები, რომლებსაც აწუხებთ ჭარბი წონა და ჰორმონალური პრობლემები“,** – განაცხადა კონკურსზე 23 წლის ლამაზმანმა. გვატემალის წარმომადგენელი კი რომელიც ასევე ტიტულისთვის იბრძოდა, მიშელ კონი გახლდათ. ის არის „მის სამყარო გვატემალას“ ტიტულის პირველი მფლობელი, რომელსაც ჰყავს ქმარი და ორი შვილი.



წელს „მის სამყარო“ 23 წლის ნიკარაგუელი შეინის პალასიოსი გახდა. ვიცე-მისად აირჩიეს 27 წლის ტაილანდელი, ხოლო მეორე ვიცე-მისად – ავსტრალიელი გოგონა.




# თამარ დე ლეტე-ვაჩნაძის გამოფენა ეროვნულ მუზეუმში

**19 ნოემბრიდან 16 დეკემბრამდე ეროვნული მუზეუმი თამარ დე ლეტე-ვაჩნაძის პირველ მასშტაბურ გამოფენას უმასპინძლებს.**

ორგანიზატორების ინფორმაციით, ქართველი მხატვარი თამარ დე ლეტე-ვაჩნაძე კრისტიან დიორისთვის ქმნიდა ესკიზებს.

**„ანდრონიკაშვილებისა და ჯორჯაძეების შთამომავალი თამარ დე ლეტე-ვაჩნაძე მე-20 საუკუნის ევროპული ხელოვნების ერთ-ერთი გამორჩეული წარმომადგენელია. მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებულ ვაჩნაძეს საქართველოსთან კავშირი არ დაუკარგავს. ამის დასტური სწორედ მისი შემოქმედებაა, რომელშიც ქართულ შტრიხებს ადვილად ამოიცნობთ. თუმცა, სამწუხაროდ, მის შემოქმედებას საქართველოში კარგად არ იცნობენ. ამის გამოსწორება დაისახა მიზნად საქართველოს ბანკმა, რომლის მხარდაჭერითაც 19 ნოემბერს თბილისში დე ლეტეს ნამუშევრების გამოფენა გაიხსნა. ამასთან, გამოვა წიგნი, რომელიც ვაჩნაძის ბიოგრაფიულ ცნობებსა და ნახატებს გააერთიანებს“,** – ნათქვამია ინფორმაციაში.

# კონკურს „ლეონარდო და ვინჩის“ გამარჯვებული მოსწავლეები მინისტრმა დააჯილდოვა

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა გიორგი ამილახვარმა 2023 წლის მოსწავლე გამომგონებელთა კონკურსის „ლეონარდო და ვინჩის“ გამარჯვებულები დააჯილდოვა.**

მინისტრმა სიტყვით გამოსვლიისას მოსწავლეებს კონკურსში გამარჯვება მიულოცა, მათ წარმატებები უსურვა და სპეციალური პრიზები რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალურ დირექტორ თეიმურაზ დოჭვირთან ერთად გადასცა.

2023 წლის კონკურსის გამარჯვებული პროექტები სპეციალურად დაკომპლექტებულმა საკონკურსო კომისიამ გამოავლინა: გრან პრით დაჯილდოებული პროექტის ავტორები 10 000 ლარის მფლობელები გახდნენ, პირველ ადგილზე გასული პროექტის ავტორებს – 5 000 ლარი, მეორე ადგილზე გასული პროექტის ავტორებს – 3000 ლარი, ხოლო მესამე ადგილზე გასული პროექტის შემქმნელებს – 2000 ლარი გადაეცათ.

კონკურსის წარმატებული მონაწილეები ასევე დაჯილდოვდნენ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“, მთაწმინდის პარკის, სულაკაურის გამომცემლობისა და საქართველოს ქიმიკოსთა ასოციაციის სპეციალური პრიზებით.

მოამზადა
**რუსუდან ქობულიამ**



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ა.წერეთლის №116 (დიდუბე პლაზა)

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ქორიძე

შემოქმედებითი ჯგუფი:
ალეკო ასლანიშვილი
გია გაბრიჭიძე
გია პლატონიშვილი
ოთარ ტურაბელიძე

სტილისტ-კორექტორები:
ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი,

ოპერატორი
შორენა გვილია

რეკლამის მენეჯერი:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

გამომცემელი:
შპს 100 — ახალი „საქართველოს რესპუბლიკა“ გაზეთ „ საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35

იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. ბალდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323

2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 22 ნოემბერს**

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.6985; ევრო - 2.9327;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.3545;
100 რუბლი - 3.0296; თურქული ლირა - 0.0940;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5860;
1000 სომხური დრამი - 6.7252

**ამინდი 20 ნოემბრისთვის**

| | | | |
|---|---|---|---|
| აღმოსავლეთი საქართველო: | | | |
| ბარი - | ღამე | +4, | დღე +13 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +1, | დღე +10 |
| დასავლეთი საქართველო: | | | |
| ბარი - | ღამე | +8, | დღე +14 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +4, | დღე +11 |
| თბილისი: | ღამე | +8, | დღე +12 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-36-00-35, 577-77-27-17
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge